მ ა ტ ი ა ნ ე

გამოდის 1989 წლიდან, 26 მაისი, 2014 წ. №1-2 (7-8)

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება
„საქართველოს ჰელსინკის კავშირი-
– ეროვნული აღორძინების"
თავისუფალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური
გაზეთი-ჟურნალი



„ვიცი, ვერსით აღუდგება
ვერა ზღუდე-კედელი,
ოდეს ბოროტს განუდგება
ხუნდ-ბორკილთა მკვნეტელი."

მერაბ კოსტავა

„და საქართველო დიდჭირნახული
გამოფხიზლდება ყველა იოგით,
ჩვენ ღვთისმშობელი გვწყალობს ხახულის
და გვიცავს მარად თეთრი გიორგი."

ზვიად გამსახურდია

ზვიად კონსტანტინეს ძე გამსახურდია იყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი და ადამიანის უფლებათა დაცვის მოძრაობების ლიდერი საქართველოში (1956-1993), დემოკრატიულად არჩეული საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი, მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებათა: „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინებისა" და „სრულიად საქართველოს წმინდა ილია მართლის საზოგადოების" თავმჯდომარე, პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა გაერთიანება „მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველოს" სპიკერი, მეცნიერი (ფილოლოგი, ისტორიკოსი, ფილოსოფოსი, თეოლოგი), მწერალი და მთარგმნელი. მისი სამეცნიერო მოღვაწეობის სფეროში შედიოდა: ქართული მწერლობის ისტორია, იბერიულ-კავკასიური ცივილიზაციის ისტორია, ქართული კულტურის ისტორია, ამერიკული პოეზიის ისტორია, რუსთველოლოგია, ანთროპოსოფია, ქართული მართმადიდებლური ეკლესიის ისტორია და ა.შ. ის იყო 40-ზე მეტი მნიშვნელოვანი სამეცნიერო შრომისა (4 მონოგრაფიის) და 200-ზე მეტი პუბლიცისტური ნარკვევის ავტორი.

ზვიად გამსახურდია დაიბადა 1939 წლის 31 მარტს თბილისში.

მამა - **კონსტანტინე გამსახურდია** (1893-1975), XX საუკუნის ქართული ლიტერატურის კლასიკოსი.

დედა - **მირანდა ფალავანდიშვილი**.

1956 წელს ზვიად გამსახურდიამ და მისმა მეგობარმა **მერაბ კოსტავამ** დააარსეს არალეგალური ახალგაზრდული პატრიოტული ორგანიზაცია "ეროვნული".

1958-1962 სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე.

1963-1977 წლებში იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი. 1973 წლიდან ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, ხოლო 1991 წლიდან - დოქტორი (სრული პროფესორი).

1981-1990 - ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

1966-1977, 1981-1992 - საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი.

1973 წელს ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას თაოსნობით დაარსდა პირველი ლეგალური ადამიანის უფლებების დამცველი ორგანიზაცია კავკასიაში - „ადამიანის უფლებების საინიციატივო ჯგუფი". ჯგუფის ბაზაზე, 1976 წელს გამსახურდიას ხელმძღვანელობით დაარსდა საქართველოს ჰელსინკის ჯგუფი, რომელიც წარმოადგენდა პირველ ჯგუფს ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე. დაარსების დღიდან, ჰელსინკის ჯგუფი აქტიურად იბრძოდა ადამიანის უფლებების დასაცავად, განსაკუთრებით საბჭოთა იმპერიის პოლიტ-პატიმრების. ისინი აქტიურად იცავდნენ აგრეთვე ქართულ ენას და სრულიად დაუცველ ქართული კულტურის ძეგლებს.

ჯგუფი გამოსცემდა და ავრცელებდა არალეგალურ ჟურნალებს "ოქროს საწმისი" და "საქართველოს მოამბე". 1977 წელს ზვიადი და მერაბი დააპატიმრეს. გასამართლებამდე ისინი ჯერ მოსკოვის ლეფორტოვოს ციხეში ჰყავდათ დაკავებული, ხოლო შემდეგ გადაიყვანეს საბჭოეთის ყველაზე რეპრესიულ დაწესებულებაში - მოსკოვის სერბსკი ინსტიტუტის სასამართლო ფსიქიატრიის სპეციალურ განყოფილებაში (ექვემდებარებოდა საბჭოთა კგბ-ს). 1978 წლის მაისში გაასამართლეს. 1979 წლის ივნისში გამსახურდია გადაასახლეს დაღესტანში, ყიზლარის რაიონის სოფელ კოჩუბეიში.

1978 წელს ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმა ზვიად გამსახურდია წარადგინა ნობელის მშვიდობის პრიზის ოფიციალურ კანდიდატად. 1982-1983 წლებში იმყოფებოდა შინა პატიმრობაში. მიუხედავად წინააღმდეგობისა, 1983 წელს გამოსცა ჟურნალი "საქართველო".1986-1990 წლებში ჰელსინკის ჯგუფი (1989 წლის სექტემბრიდან - კავშირი) იყო ხელმძღვანელი ყველა მნიშვნელოვანი ადამიანის უფლებათა საპროტესტო აქციისა და ანტი-იმპერიალისტური მოძრაობისა. 1989 წლის 9 აპრილს, თბილისში მშვიდობიანი მიტინგის დარბევის შემდეგ, ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა, სხვა ორგანიზატორებთან ერთად, დააპატიმრეს. ისინი 40 დღე ჰყავდათ კგბ-ს იზოლატორში.

1989 წლის ბოლოს გამსახურდიამ დიდი წვლილი შეიტანა სსრკ-ში პირველი მრავალპარტიული არჩევნების კანონის შემუშავებაში, მიღებასა და განხორციელებაში.

1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებში, საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტურმა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა საარჩევნო ბლოკს „მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველო". 1990 წლის ნოემბერში უზენაესი საბჭოს პირველ სესიაზე გამსახურდია აირჩიეს საქართვეოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ. უზენაესმა საბჭომ აღადგინა საქართველოს დამოუკიდებლობა და გამოაცხადა საქართველო დამოუკიდებელ ქვეყნად. კანონის ავტორი იყო ზვიად გამსახურდია.

1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის შედეგებზე დაყრდნობით, 1991 წლის 9 აპრილს

1991 წლის 14 აპრილს უზენაესმა საბჭომ ზ. გამსახურდია აირჩია საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტად, რაც განმტკიცდა 1991 წლის 26 მაისის სახალხო არჩევნებით.

1991 წლის 22 დეკემბერს დაიწყო სამხედრო გადატრიალება. მთელი მსოფლიოს ბოროტი და უგუნური ძალები გაერთიანდენ პატარა საქართველოს წინააღმდეგ. დიდი სისხლისღვრის თავიდან აცილების მიზნით 1992 წლის 6 იანვარს პრეზიდენტმა, უზენაესმა საბჭომ და მთავრობის წევრებმა დატოვეს პარლამენტის შენობა. პრეზიდენტმა მოახერხა თავის დაღწევა ოჯახთან და კანონიერი მთავრობის წევრებთან ერთად სომხეთში, მოგვიანებით ჩეჩნეთში. პრეზიდენტი დევნილობაში განაგრძობდა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას.

დიქტატორი შევარდნაძის დანაშაულებრივი რეჟიმის მიმართ ძლიერი სახალხო წინააღმდეგობის გამო, 1993 წლის 24 სექტემბერს პრეზიდენტი გამსახურდია დაბრუნდა საქართველოში. კანონიერმა მთავრობამ და უმაღესმა საბჭომ დიდი სახალხო მხარდაჭერით განაახლეს საქმიანობა ქ. ზუგდიდში. დასამარცხებლად განწირული შევარდნაძის რეჟიმს დახმარების ხელი გაუწოდა რუსეთმა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ. 1993 წლის ნოემბერში რუსეთის ჯარებმა დაიკავეს დასავლეთ საქართველო. პრეზიდენტი გამსახურდია იძულებული გახდა დაეტოვებინა ზუგდიდი.

1993 წლის 31 დეკემბერს ზვიად გამსახურდია ტრაგიკულ ვითარებაში აღესრულა ძველ ხიბულაში. 1994 წლის თებერვალში გამსახურდიას ნეშტი გადაასვენეს ჩეჩნეთის დედაქალაქ გროზნოში (ჯოხარ ყალა). ხოლო. . .

2007 წლის 1 აპრილს, ბზობას, ზვიად გამსახურდიას ნეშტი დაიკრძალა მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში. ათიათასობით საქართველოს მოქალაქემ კიდევ ერთხელ გამოხატა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტისადმი დიდი სიყვარული და პატივისცემა.

მთაწმინდა გულში იხუტებს
საშვილიშვილო სამარეს,
მამადავითსა ავედრებს,
აბარებს ქვეყნის მოყვარეს...

დაივანე და განისვენე სამშობლოსა და ჩვენთვის ვნებულო, თავგანწირულო და აღსრულებულო დიდო ქართველო!

მუხლს ვიყრით შენს წინაშე და მოგვიტევე, თუ რომ ვერ გატანთ ალალ ცრემლს! გვწამს, რომ სამართალმემკვიდრეობისა და კანონიერების აღდგენით დაიწყება გაბრწყინება იბერიისა!

ამინ!

26 მაისი

მერაბ კოსტავას დაბადების დღეა

მერაბ კოსტავა (26 მაისი, 1939, თბილისი - 13 ოქტომბერი, 1989), საქართველოს ეროვნული გმირი. ქართველი დისიდენტი, მუსიკათმცოდნე, პოეტი, საზოგადო მოღვაწე. საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი.

მერაბ კოსტავა დაიბადა ოლღა დემურიასა და ივანე კოსტავას ოჯახში. ბაბუა - ვლადიმერ დემურია ცნობილი საზოგადო მოღვაწე და მასწავლებელი იყო. მერაბზე დიდი გავლენა მოახდინა ბიძამ - ცნობილმა მსახიობმა და პოლიტპატიმარმა გრიგოლ კოსტავამ.

1946 წელს მერაბ კოსტავა შეიყვანეს თბილისის ვაჟთა პირველ სკოლაში (დღევანდელი თბილისის კლასიკური გიმნაზია). იგი მეტად ნიჭიერი და ბეჯითი მოწაფე იყო. ამ სკოლაში გაიცნეს ერთმანეთი ზვიად გამსახურდიამ და მერაბ კოსტავამ. აქვე გადაწყვიტეს, ებრძოლათ სამშობლოს თავისუფლებისათვის. მეგობრების და მათი თანამოაზრეების ზნეობრივად ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა იქონია ქართველმა კლასიკოსმა კონსტანტინე გამსახურდიამ.

მერაბ კოსტავა - მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდა - სწავლას იწყებს ზაქარია ფალიაშვილის სახელობის მუსიკალურ ათწლედში, რომელსაც ამთავრებს 1958 წელს და სწავლას აგრძელებს თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიაში. კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ მუშაობს მუსიკის მასწავლებლად. იყო ჟურნალის „ქართული ენა ლიტერატურა სკოლაში“ რედაქტორი.

საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი მერაბ კოსტავა არაერთგზის იყო რეპრესირებული, დაპატიმრებული, გადასახლებული. ბოლოს 1987 წელს დაბრუნდა გადასახლებიდან და ზვიად გამსახურდიასთან ერთად ისევ განაგრძო ბრძოლა სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის. 1989 წლის 13 ოქტომბერს იგი საეჭვო ვითარებაში დაიღუპა.

მერაბ კოსტავა წერდა ლექსებს, ფილოსოფიურ, თეატრალურ თხზულებებს და ლიტერატურულ ესეებს. თარგმნიდა ცნობილი მწერლების ფილოსოფიურ ნაწარმოებებს. ლიტერატურული მოღვაწეობისათვის მინიჭებული აქვს დავით აღმაშენებლის და მწერალთა კავშირის პრემიები.

დაკრძალულია მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

ზვიად გამსახურდიას სიტყვა, წარმოთქმული 1990 წლის 26 მაისს

დღეს შევიკრიბეთ ამ მიწაზე, სადაც დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკის ხანაში იმართებოდა მიტინგები და შეკრებები. დღეს ჩვენთან არიან ის სულები, საქართველოს თავისუფლებისათვის მრავალი მათგანი შემდგომში წამებულნი, საქართველოს დამოუკიდებლობის სულის ჩამდგმელი და ამ დღეს გვმართებს დიდი დაფიქრება და დიდი ანალიზი ჩვენი ბრძოლის, ჩვენი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სწორი კურსის განსაზღვრისათვის.

მეგობრებო! გილოცავთ ყველა ქართველისათვის ამ ღირსსახსოვარ დღეს. და დღეს, მეგობრებო, უნდა ითქვას სიმართლე, რამეთუ სიმართლისათვის მოგვავლინა უფალმა ჩვენ, სიმართლისათვის მოავლინა ქართველი ერი, რათა მან სწამოს ჭეშმარიტი, რათა მან სწამოს ქრისტესთვის, რათა იგი გაბრწყინდეს მსოფლიო ხალხთა წინაშე, ვითარცა ქომაგი ჭეშმარიტებისა. მეგობრებო, ნუ იყოფინ ორპირობა და გულაღრძილობა ამ დღეს, ამ წმინდა მიწაზე, სადაც წინაპართა აჩრდილები თავს დაგვტრიალებენ, სადაც სულმნათი მერაბ კოსტავა გადმოგვცქერის ზეციური საქართველოდან, სადაც წმინდა ილია მართალი დაგვცქერის ჩვენ, ჩვენს მირვე წამებული ილია მართალი.

ძმანო და დანო! ქართველი ერი ქრისტეს მცნებით ვიდოდა ისტორიის ეკლიან გზაზე და მე მინდა შეგახსენოთ იგავი იოანეს სახარებისა, რამეთუ ეს იგავი მიესადაგება ჩვენს დღევანდელ მდგომარეობას, ჩვენს გუშინდელ დღეს, ჩვენს თავისუფლებას, ჩვენს დამოუკიდებლობას – იმჟამად წართმეულს, იმჟამად დამარცხებულს და ჩვენ დღეს უნდა გავაცნობიეროთ, თუ რა არჩევანის წინაშე ვდგავართ. ეს იგავი სახარებისა არის შემდეგი: როდესაც მაცხოვარი ჩვენი იესო ქრისტე გამოიყვანეს ებრაელი ხალხის წინაშე რომაელებმა და მისმა მტანჯველებმა, ისრაელს ჰქონდა წეს-ჩვეულება: სიკვდილით დასჯილი ერთ-ერთი ადამიანი ამ დღეს, უნდა მიეტევებინათ ხალხისათვის. მაშინ რომაელთა ხელისუფლებამ მიმართა ისრაელის ერს: ვინ მოგიტევოთ? და წარუდგინა ქრისტე – ღმერთკაცი და ბარაბა – ავაზაკი. მაშინ იხუვლა ისრაელის ერმა: „ჯვარს აცუ ეგე და მოგვიტევე ჩვენ ბარაბა, მოგვიტევე ავაზაკი" და ის ავაზაკი გულში ჩაიხუტა და ჯვარცმად გაუშვა ქვეყნად მოვლენილი მესია-ღმერთკაცი!

ძმანო! უსაშინელესი ტრაგედია დაატყდა ისრაელს ამის შემდეგ, რომელიც გრძელდებოდა ოცი საუკუნის მანძილზე, მათ დაკარგეს სახელმწიფოებრივობა, დაკარგეს ენა, დაკარგეს ტერიტორია, გაიფანტნენ მთელს მსოფლიოში, არნახული ტანჯვით ვიდოდნენ და მხოლოდ ორი ათასი წლის შემდეგ შეუნდო უფალმა ის, რომ მათ აირჩიეს ავაზაკი, ავაზაკის გზა და უარყვეს ქრისტე. და, აი, ქართველი ერი, ღვთის ერი, ასევე ღვთის რჩეული, ვით ისრაელი, ვიდოდა ქრისტეს ეკლიანი გზით. მოვიდა მეოცე საუკუნემდე და მის წინაშე წარდგა არჩევანი. აი ეროვნული მოძრაობა დიდი ილიასი, დიდი ჰუმანისტებისა, დიდი დემოკრატებისა და, აჰა მოძრაობა ყაჩაღებისა, ავაზაკებისა და უღმერთო ერისა, ბარაბასი. და როდესაც ისტორიამ სამსჯავროზე ჩვენს წინაშე გამოიყვანა დიდი ილია და გამოიყვანა ავაზაკი, ჩვენ ავირჩიეთ ავაზაკი, ჩვენ უარვყავით დიდი ილია და ჩვენ ტყვია ვესროლეთ მას.

და, აი, დადგა ჟამი ჩვენი განთავისუფლებისა, ჩვენ მივიღეთ თავისუფლება, მაგრამ ბარაბას გზით. ბარაბას გზა ავირჩიეთ და ეს თავისუფლებაც უფალმა ისე წაგვართვა, ვით მოგვივლინა, და დაგვატეხა თავს არნახული სასჯელი, რომელიც სამოცდაათი წელი გვანადგურებს.

აი, ამის გამო მივიღეთ, ძმანო, ეს სასჯელი, რამეთუ უარვყავით ქრისტე, ქრისტეს მოვლენილი კაცი, მესიად მოვლენილი კაცი და ავირჩიეთ ბარაბა ავაზაკის, სოციალ-დემოკრატიის და მსგავსთა მისთა გზა.

აი მიზეზი ჩვენი კატასტროფისა, აი მიზეზი 26 მაისის დამარცხებისა, აი მიზეზი იმისა, რომ ვიქმენით ჩვენ, ვითარცა ცხოვარნი კლვადნი, მტერთაგან ძლეულნი. მამული ჩვენი მტერთა ჩვენთა ფეხქვეშ გაითელა და ჩვენ დღეს უფსკრულის პირას ვართ. და, აი მოდის ახალი არჩევანი, ძმანო და დანო, წარმოგიდგათ უფალი და გეუბნებათ: ქართველო ერო, შენ წინაშე არის ორი გზა. შენი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა მივიდა გზაგასაყართან. აი გზა ილია მართლისა, აი გზა სიწმინდისა, ზნეობისა, აი გზა დემოკრატიისა, აი გზა ჭეშმარიტებისა და უმანკოებისა და აი გზა ყაჩაღობისა და მზაკვრობისა, აი გზა ტერორიზმისა! აირჩიე, ქართველო ერო, აირჩიეთ, ქართველებო, აირჩიეთ ქრისტეს გზა და კეთილის გზა, აირჩიეთ ილია მართლის გზა, რამეთუ ეს გზა განსაწმენდელთან მიგვიყვანს! და ვინც წავა წარწყმედის გზით, ბარაბას გზით, შეჩვენებული იყოს უკუნისამდე.

ჩვენ, ძმანო, ვდგავართ პირისპირ სატანასთან, გველეშაპთან. ან ჩვენ დავამარცხებთ მას წმინდა გიორგის ძალისხმევით, ან ის შთანთქავს ჩვენს ისტორიულ ბედ-იღბალს და გაგვთელავს ჩვენ ეს კოსმიური გველეშაპი, ეს პლანეტარული მხეცი – ანტიქრისტე, რომელიც წარმოგვიდგება და გვეუბნება: აი ეროვნული მოძრაობა და ეროვნული მოძრაობის ნიღბით და საფარით მოდის ანტიქრისტე, მოდის ბარაბა და მოდის შეჩვენება.

გაუმარჯოს ილია მართლის გზას, მერაბ კოსტავას გზას!

კურთხეულ იყოს ილია მართალის გზა!

გაიღვიძე, ქართველო ერო! გაიღვიძე და გაჰყევი გზას ჭეშმარიტებისას, სიკეთისას, ღვთისას, ამინ!

პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას საინაგურაციო სიტყვა 1991 წლის 7 ივნისს

28 ოქტომბრის შემდეგ განვლილი პერიოდი გახლდათ ურთულესი გამოცდა როგორც ხალხის ისევე მის მიერ არჩეული ხელისუფლების და მთავრობისათვის. ვინაიდან მძიმე და ეკლიანია თვისუფლებისაკენ მიმავალი გზა. მითუმეტეს ძნელია ამ გზაზე ყოველდღიური სიარული — როდესაც გაივლის პირველადი ენთუზიაზმი, გამოჩნდებიან პირველი, და სამწუხაროდ არა უკანასკნელი შეცთომილნი და გზააბნეულნი, როდესაც — ფიზიკური შეზღუდულობა ადამიანისა, ამქვეყნიური ხორცისმიერი პრობლემები თითქოს– და შურს იძიებენ შინაგანად უკვე თავისუფალ ერზე.

უნდა ვაღიაროთ, რომ ოცნება თავისუფლებაზე, სტიქიური მოქმედება მისი სახელით შეუდარებლად უფრო იოლი იყო, ვიდრე სახელმწიფო პოლიტიკის რანგში აყვანილი, რეალურ სამუშაოდ ქცეული ეროვნული აღორძინება.

დღეს უკვე გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ურყევია ქართველი ერის ნება დააღწიოს თავი იმპერიულ ბორკილებს. იგი თანმიმდევრულად და მტკიცედ ადგას ამ გზას. ეს არ გახლავთ მოულოდნელი: ჩვენ ვდგავართ საქართველოს ისტორიის დიდ გზის გასაყარზე, სადაც ქართველი კაცი კიდევ ერთხელ ამბობს უარს ამქვეყნიურ, ფიზიკურ კეთილდღეობაზე, სულისმიერი ეროვნული აღორძინების სახელით. აღორძინება კი განახლებისა და საკუთარი ჭეშმარიტი მეობისაკენ დაბრუნებას ნიშნავს. მხოლოდ ღვთის შეწევნითა და თითეული ჩვენგანის თავდაუზოგავი საქმიანობით შეიძლება მივაღწიოთ მას.

ქართველი ერის ისტორია, საქართველოს სახელმწიფოებრიობის ისტორია, ქართული კულტურა და ტრადიციული ღირებულებანი ეს არის ჩვენი წარსული, ეს არის ჩვენი სიამაყე. თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის მებრძოლი ხალხი, რელიგიური მსოფლმხედველობისა და ეროვნული ცნობიერების აღორძინების საზოგადოება — ეს არის ჩვენი აწმყო, ჩვენი ბრძოლის შედეგი.

– საქართველოში, როგორც მართლმადიდებელ ქრისტიანულ ქვეყანაში, ტრადიციული იყო კავშირი ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის;

– ქართველთა ცხოველი მორწმუნეობა განსაზღვრავდა მტრულ გარემოცვაში საქართველოს სახელმწიფოს მრავალსაუკუნოვან არსებობას. სახელმწიფო კი თავის მხრივ ხელს უწყობდა ეკლესიის სამოციქულო მოღვაწეობას;

– საქართველოს სახელმწიფოებრივი აღორძინება, მისი დამოუკიდებლობის აღდგენა ვერ მოხერხდება ქართველთათვის ნიშნეული ცხოველი მორწმუნეობის აღორძინების გარეშე, ზნეობრივი აღორძინების გარეშე – ამას ადასტურებს საქართველოს წარსულიცა და აწმყოც; – სწორედ ამიტომ ჭეშმარიტად ქართული ეროვნული მოძრაობა მჭიდროდ იყო და არის დაკავშირებული რელიგიურ ცნობიერებასთან, ეკლესიის წიაღთან;

– დღევანდელი (საქართველოს ეროვნულ–განმათავისუფლებელი) მოძრაობაც თავისი შინაგანი არსით ეროვნულ–რელიგიური მოძრაობაა, რამდენადაც იგი არ გულისხმობს მხოლოდ ეროვნულ–პოლიტიკური მიზნების განხორციელებას, არამედ უპირველეს ყოვლისა ითვალისწინებს ზნეობრივ აღორძინებას ქრისტიანულ რწმენასა და ცნობიერებაზე დამყარებით;

– ეროვნული ხელისუფლება იღვაწებს ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ტრადიციული ერთობის აღსადგენად. ამ ერთობის არსი შემდგომში მდგომარეობს – ეროვნული სახელმწიფოს ავტორიტეტი უნდა დაემყაროს არა მარტო ხელისუფლების სოციალურ–პოლიტიკურ განსაზღვრულობას, არამედ უმეტესწილად ქრისტიანულ ზნეობრივ საწყისებს;

– სახელმწიფოს დამოკიდებულება ეკლესიისადმი უნდა დაეფუძნოს ეკლესიის რელიგიურ–ზნეობრივი ავტორიტეტის უზენაესობისა და ეკლესიის განსაკუთრებული სოციალური ფუნქციის აღიარებას;

– ეკლესიის სამოციქულო მოღვაწეობის სულიერი ბუნება თავისთავად გამორიცხავს მის უშუალო მონაწილეობას ქვეყნის პოლიტიკურ სისტემაში, მაგრამ პოლიტიკური სისტემიდან ეკლესიის გამოყოფა არ უნდა ნიშნავდეს სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთგათიშვას;

– სახელმწიფო და ეკლესია არ უნდა ერეოდნენ ურთიერთის საქმიანობაში, მათ ერთობლივად უნდა უზრუნველყონ საერო და საეკლესიო ცხოვრების მთლიანობა. ჩვენ მომხრენი ვართ არა სახელმწიფოსა და ეკლესიის, ეკლესიისა და სკოლის ურთიერთგამიჯვნისა, არამედ მათი ბუნებრივი კავშირისა, რომელიც იმავდროულად პოლიტიკური სისტემისა და ეკლესიის ურთიერთდამოკიდებულებასაც დაემყარება;

– სახელმწიფოს დამოუკიდებლობის აღდგენასთან ერთად მართლმადიდებლობა სახელმწიფო რელიგიად უნდა იქცეს;

– ამ პრინციპებიდან გამომდინარე, ქართულმა სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ეკლესიის უფლება იყოს საერო ცხოვრების აქტიური მონაწილე. სახელმწიფომ უნდა დაიცვას საეკლესიო ქონება, ხელი შეუწყოს ეკლესიას ტრადიციულ სამონასტრო მოღვაწეობაში. სახელმწიფომ უნდა იზრუნოს, რათა ეკლესიამ მიიღოს საჭირო მატერიალური დახმარება – საგანმანათლებლო საქმიანობის, ტაძრების მშენებლობისა და შეკეთებისათვის. უნდა აღდგეს საეკლესიო საკუთრება მიწაზე;

– მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად აღიარება არ ხელყოფს სხვა რელიგიების აღმსარებელთა, აგრეთვე ათეისტთა მოქალაქეობრივ უფლებებს. სახელმწიფოს მიერ გარანტირებული იქნება სინდისის თავისუფლება და თითოეულ პიროვნებას მიეცემა შესაძლებლობა იყოს აღმსარებელი იმ სარწმუნოებისა, რომელსაც თავად აღიარებს. მოქალაქეთა უფლებები არ შეიზღუდება რელიგიური ნიშნით. საქართველოს სახელმწიფო კვლავაც ერთგული დარჩება ტრადიციული რელიგიური შემწყნარებლობისა.

ქალბატონებო და ბატონებო.

– ქართველი ერი გამოირჩევა თანასწორთა შორის თავისი ყოფით, ადგილით და ენით. საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა.

– ჩვენი ისტორია, ცხოვრების წესი, ბრძოლა სარწმუნოებისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის – ეს არის მოწამეობრივი გზა, ქრისტემიერი გზა სიკეთისა, სიქველისა და სიყვარულისა.

– ისტორია გვაძლევს შესაძლებლობას, რათა დავუბრუნდეთ მამაპაპეულ გზას, ავაღორძინოთ თავისუფალი საქართველო. დგება ჟამი როდესაც უკლებლივ ყველას სიცოცხლე მამულს ეკუთვნის.

– ერი უეჭველად მზად არის გადამწყვეტი ბრძოლისათვის – ეს ეროვნული ხელისუფლების ვალია იყოს ღირსი უდიდესი მისსიის – შეასრულოს დაკისრებული მოვალეობა – საქართველოს დაუბრუნოს ღირსეული ადგილი მსოფლიოს ერთა თანამეგობრობაში. დიდი მიზნები მხოლოდ ღვთაებრივი სიყვარულით აღსრულდებიან.

დაე აღსრულდეს ნება ღვთისა, ნება ერისა.

გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს!

როგორ ამხელდნენ ეკლესიის მტრებს ზ. გამსახურდია და მ. კოსტავა!

I. ქართული ცნობიერების საფუძველია ქრისტიანულ ფასეულობათა პრიორიტეტი, სულიერის მატერიალურზე მაღლა დაყენება, ღვთისა და ერისათვის თავგანწირვა და მარტვილობა, ქრისტიანული რაინდობა. ამ მახასიათებლების მიხედვით უწოდეს უცხოელებმა ძველ ქართველებს გეორგიანნი, რამეთუ საქართველოს აღიქვამდნენ როგორც წმინდა გიორგის ერთიან ორდენს. ეს არის ჭყონდიდელურ-აღმაშენებლური მსოფლმხედველობა, რუსთველური მსოფლმხედველობა. ქართული ცნობიერების ხატია წმინდა გიორგი, ბოროტების ძალთა წინააღმდეგ ამხედრებული, ამიტომ არის იგი გერბი საქართველოსი. ეს არის მოწამეობრივი იდეალის მსახურება, მებრძოლი სიკეთე, მებრძოლი ქრისტიანობა. უფრო დეტალურად ყოველივე ამას შეგიძლიათ გაეცნოთ ჩემს წიგნებში "საქართველოს სულიერი მისსია" და "ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება". სწორედ ამიტომ შეერთდნენ და შეკავშირდნენ დღეს საქართველოს წინააღმდეგ ბოროტების მსოფლიო ძალები, ამიტომ ცდილობენ ისინი დღეს საქართველოს სულიერად დაპყრობას, მის გადაგვარებას და განადგურებას. მაგრამ გახსოვდეთ იოანე მახარობლის სიტყვები:"და ვიხილე მხეცი იგი და მეფენი ქვეყანისანი და მხედრობანი მათნი შეკრებულნი ბრძოლის ყოფად მჯდომარისა მის ცხენსა ზედა და მხედრობისა მისისა მიმართ. და შეპყრობილ იქნა მხეცი იგი და მის თანა ცრუ წინასწარმეტყველი იგი, რომელმან ქმნნა წინაშე მისსა სასწაულნი, რომლითა აცთუნნა იგინი, რომელთა მიიღეს ბეჭედი იგი მხეცისაი და თაყუანის-სცეს ხატსა მისსა და ცოცხლივ შთავარდეს ორნივე იგი ტბასა მას ცეცხლისასა, რომელი იგი იწუების წუმწუბითა. და სხუანი იგი მოისრნეს მახვილითა ცხენსა ზედა მჯდომარისათა, რომელი გამოვიდა პირით მისით, და ყოველნი მფრინველნი გაძღეს ხორცითა მათითა" (იოანეს გამოცხადება, თ.19, 19-21).

II. მართლმადიდებლობა ქართული ცნობიერების საფუძველთა საფუძველია. შემთხვევითი როდია, რომ საქართველოში წმინდა გიორგის გვერდით დგას წმინდა ნიკოლოზი, კონფესიური მართლმადიდებლობის ბურჯი, ორივენი მფარველნი არიან ქართველი ერისა და საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიისა, ამ ორი წმინდანის სახელობის ეკლესიები ყველას სჭარბობენ საქართველოში. ქართული რელიგიური ელიტის აზრთამპყრობელნი მუდამ მართლმადიდებელი მამები იყვნენ, შემთხვევითი როდია რომ ორი უდიდესი მათგანი იოანე ოქროპირი და მაქსიმე აღმსარებელი საქართველოს მიწაში არიან დაკრძალულნი. მართლმადიდებელ წმინდანთა და მოწამეთა სიმრავლითაც საქართველო პირველ ადგილზე დგას მსოფლიოში. ეს მიუთითებს მართლმადიდებლობის პრიორიტეტზე.

დღესაც მტერმა პირველ რიგში ჩვენს ეკლესიას დაუმიზნა, შემოგზავნა სამღვდელოების რიგებში მართლმადიდებლობის მტრები, ცხვრის ქურქში გახვეული მგლები, რომელთაც დააკნინეს და თითქმის გაანადგურეს მართლმადიდებლური რწმენა. მტრის სადაზვერვო სამსახურების აგენტების ადგილი ეკლესიაში არ არის. ჩვენი ეკლესია უნდა განიწმინდოს მათგან, რათა ერი არ დაიღუპოს. აუცილებელია ახალი რუის-ურბნისი.

III. სექტანტობა შეუთავსებელია ქართულ ცნობიერებასთან, უწინარეს ყოვლისა თავისი დაკნინებული, მწვალებლური აზროვნებით, ზნეობრივი დეგრადაციით. სექტანტობა ჩვენი მტრის მთავარი იარაღია, შემთხვევითი როდია, რომ მის გავრცელებას დიდად უწყობდა ხელს კომუნისტური ხელისუფლება, დღესაც იგი მთავარი იარაღია ჭეშმარიტ სარწმუნოებასთან ბრძოლაში. სექტანტობის გაძლიერებას ხელს უწყობენ ჩვენი ეკლესიის ცრუ საჭეთმპყრობელნი, თავისი შეგნებული პასიურობით, ნიღილიზმით ინდიფერენტულობით და უზნეობით.

IV. ანთროპოსოფია არ არის რელიგიური აღმსარებლობა, იგი არ არის სექტა ან ორდენი. ეს არის შემეცნებითი მოძღვრება მატერიალიზმის წინააღმდეგ მიმართული. მე მესმის ამ კითხვის მიზანი. ამ კითხვასაც გავეცი სათანადო პასუხი ჩემს წიგნში "საქართველოს სულიერი მისსია". აქაც გეტყვით: მეც და მერაბ კოსტავასაც ყველა ფილოსოფიური და სულიერი მოძღვრება შეგვისწავლია ყველა ერისა, ეს ჩვენი შემეცნებითი ძიებები იყო, რაც არასოდეს უშლიდა ხელს ჩვენს მართლმადიდებლურ აღმსარებლობას. ასეთ ჭორებს ავრცელებენ უწიგნურნი, უმეცარნი, რომელთაც ვერ გაურჩევიათ ურთიერთისაგან რელიგიისა და შემეცნების მიზნები. დღეს უწიგნური და უმეცარი ადამიანი ვერ იქნება ჭეშმარიტი მორწმუნე. ბასილი დიდი არ უკრძალავდა თავის მოწაფეებს პლატონისა და არისტოტელეს კითხვას, დავით აღმაშენებელიც თავისი დროის ყველა მოძღვრებას სწავლობდა, მაგრამ მართლმადიდებლობისთვის არასოდეს უღალატია, ასევე იყო რუსთაველიც, რაც ჩანს მისი პოემიდან. ასე რომ ნუ აჰყვებით უმეცარ ავკაცთა მონაჭორებს. რელიგიურ და შემეცნებით საკითხებზე მსჯელობა მათი საქმე არ არის.

V. დასავლურ უზნეობას და კულტურის სუროგატებს თავად დასავლეთშიც ჰყავთ მოწინააღმდეგეები. რატომ მათ არ ბაძავენ ჩვენში ესოდენ გამრავლებული მოტრფიალენი "დასავლური ცხოვრების წესისა"? საქმე ის გახლავთ, რომ ამით შეგნებულად სურთ ქართული ქრისტიანული ცხოვრების წესისა და ზნეობის განადგურება, რათა უკეთ გადააგვარონ და მოსპონ ქართველი ერი. სხვათაშორის 1921 წელს საქართველოს დაპყრობისთანავე ბოლშევიკებმა თბილისში დააარსეს "ცეკვისა და პლასტიკის კურსები", სადაც ზნეობრივად რყვნიდნენ ახალგაზრდობას. დღეს მათი სულიერი მემკვიდრეები იმავე იარაღს იყენებენ. ამიტომ გთხოვთ, ძალიან ნუ გაგიტაცებთ "სილამაზის კონკურსების" მოწყობა და სხვა მსგავსი ღონისძიებები თმამოშვებული და საყურეებიანი "მამაკაცების" მონაწილეობით.

VI. სხვათაშორის დღევანდელ დასავლეთში მამაკაცთა ემანსიპაციის მოძრაობაც დაიწყო, რაც იმის ნიშანია, რომ ხედავენ ქალთა ემანსიპაციის გადაჭარბებული, ცალმხრივი განვითარების საფრთხეს.

VII. ქართველი ქალისა და მამაკაცის სახე ყველაზე უკეთ ჩვენს ეროვნულ ტანსაცმელში და ეროვნულ ცეკვებშია გამოხატული. ქართული რაინდობა, იბერიულ-კავკასიური რაინდობაა ამ ჩაცმულობაში და ქალური კდემამოსილება. მე არ გეუბნებით დღეს ჩოხებითა და ქართული კაბებით იარეთ მეთქი, მაგრამ ის სული, რომელიც ამ ჩაცმულობით არის გამოხატული, უნდა აღდგეს ქართველ ქალში და ქართველ მამაკაცში.

VIII. ქართული ეროვნული ცნობიერება უნდა აღდგეს ქრისტიანული რწმენისა და ქართული ეროვნული იდეოლოგიის აღორძინებითა და პროპაგანდით, ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის აქტივიზაციით, ქართული სახელმწიფოებრიობისა და ეროვნული ხელისუფლების აღდგენით. ეს კი ჩვენი ბრძოლის უმთავრესი მიზანია. წინააღმდეგ შემთხვევაში მოგველის ეროვნული გადაგვარება და კატასტროფა. ღვთისა და მამულისათვის თავგანწირვა დღეს ერთადერთი გზაა გადარჩენისა!

საქართველოს
რესპუბლიკის პრეზიდენტი დევნილობაში
ზვიად გამსახურდია

1993. 27. თებერვალი

„საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინება”

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინება” (შემოკლებით „საქართველოს ჰელსინკის კავშირი"), არის თანამოაზრეთა პოლიტიკური გაერთიანება, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის - ბატონ ზვიად გამსახურდიას მიერ საქართველოში 1976 წელს შექმნილი ჰელსინკის ხელშეკრულებისათვის ხელშემწყობი ჯგუფის, შემდგომ „საქართველოს ჰელსინკის კავშირისა” და მოგვიანებით მისი საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციად გარდაქმნის შედეგად ჩამოყალიბებული ორგანიზაციის სამართალმემკვიდრე, საქმიანობისა და ტრადიციების გამგრძელებელი.



საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისია

საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების კანონის 14 მუხლის თანახმად ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ 1990 წლის 27.08.90 ... განცხადება, პროგრამა, წესდება საქართველოს ჰელსინკის კავშირისა-ეროვნული აღორძინების რეგისტრაციის შესახებ.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის ჯგუფის ხელმძღვანელი დ. ლორია.

თავისუფლება და დამოუკიდებლობა – უპირველესი მიზანი

სრულიად საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინების მეორე ფრილობა

დღეს ჰელსინკის კავშირის წევრობა საპატიოდ ითვლება. რომელ ერს შვილს არ უნდა იბრძოლოს თავისი სამშობლოს პოლიტიკური და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, სიკეთისა და კეთილდღეობისათვის, ადამიანის უფლებათა დაცვისთვის.

სწორედ ამ ამოცანებს ემსახურება საქართველოს ჰელსინკის კავშირი — ეროვნული აღორძინება — თანამოაზრეთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაერთიანება.

მაგრამ სულ ორიოდე წლის წინათ. ჰელსინკის კავშირის წევრობაც კი ოვითმკვლელობის ტოლფასი იყო, უფლებისა გზა ეკიარა საქართველოს ჰელსინკის კავშირში — რეპრესიები, ხშირად საზოგადოების ბატონი დამოკიდებულებაც კი. არავერს არ შეუშინებენ სულით სპეტაკ, ნებისყოფით ეფრეკი კავშირის წევრებ.. მათ გზას უნათებდა სწრაფვა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისაკენ. მათმა შეუპოვარმა პრძოლამ გამარჯვებისა საქართველოში დემოკრატიას. და განა მარტო საქართველოში. მან გარკვეული როლი შეასრულა მსოფლიო პროცესების შემდგომ განვითარებაში, კერძოდ აღმოსავლეთ ევროპის ხალხების განთავისუფლებაში.

უმნიშვნელოვანესი ამოცანები დგას დღეს ჰელსინკის კავშირის წინაშე.

კავშირის მიერ განვლილი გზისა და ახალი ამოცანების შესახებ პოლიტიკური მოხსენება გააკეთა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა, სრულიად საქართველოს ჰელსინკის კავშირის თავმჯდომარემ ბატონმა ზვიად გამსახურდიამ მეორე ფრილობაზე, რომელიც 9 ნოემბერს გაიმართა.

— საგანგებო ფრილობა ამართება საგანგებო დროს, — აღნიშნა მან, — დღეს, როდესაც ბასლ-ნოს, უნდა დაირაზმონ ნამდვილი პატრიოტები, ჰელსინკის კავშირის წევრები და მოუწოდონ ქართველ ერს, გადაარჩინონ დემოკრატია, საბჭოთა ოზე გამოიყენონ ცრუ პარტიები და ცრუ ორგანიზაციები. კავშირის მისია — ეროვნულ-ფორმაციასთან შეუპოვარი ბრძოლა, მასობრივი მიტინგების, მანიფესტაციების, კრებების გამართვა, რათა ყველამ დაინახოს, რომ ოპოზიციის გზა განწირულია, დემოკრატია გაიმარჯვებს.

ფრილობიდან ფრილობამდე ჰელსინკის კავშირის შეშფოთებაზე ანგარიშით გამოვიდნენ გამგეობის წევრები თეიმურაზ ქორძიე და ავთანდილ რცხილაძე.

მომხსენებლებმა და კამათის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ აქტიური შეშფოთება არჩევნების წინ, რომელიც პოლიტიკური ბლოკის „ერგეალი მაჯიდა" — თავისუფალ საქართველოს" გამარჯვებით დამთავრდა, დღესდღეობით საეჭვოობლად შენელდა. ფრილობამ დასაბა ლონისძიებები შეშფოთების გასაუმჯობესებლად.

ფრილობამ კავშირიდან გარიცხა წევრები, რომლებმაც დაარღვიეს ჰელსინკის კავშირის წესდების მოთხოვნები.

გაიმართა არჩევნები. ფრილობამ საქართველოს ჰელსინკის კავშირის თავმჯდომარედ ერთხმად აირჩია ბატონი ზვიად გამსახურდია, თავმჯდომარის მოადგილედ აირჩიულია ვახტანგ ჭითავა, გამგეობის წევრებად — თეიმურაზ ქორძიე, ავთანდილ რცხილაძე, ხუგუჩარ მოლოდინაშვილი.

ფრილობამ მიიღო წესდება და რეზოლუცია.

ს ა ბ ი ნ ფ ო რ მ ი.

საქართველოს ხელისუფლება **სხვა გაზეთებიდან** 1991 წლის 12 ნოემბერი

„საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინება”

მოკლე ისტორიული მიმოხილვა

„საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინება” არის თანამოაზრეთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც თავდაპირველად დაარსდა როგორც ჯგუფი. იგი არის უხუცესი პოლიტიკური ორგანიზაცია ჩვენს ქვეყანაში, დაარსებული ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას მიერ 1976 წელს. მანამდის ყველა პოლიტიკური ორგანიზაციები არსებობდნენ მხოლოდ იატაკქვეშეთში, ვინაიდან იმჟამად ღია ოპოზიციურ ორგანიზაციაში მონაწილეობა თითქმის თვითმკვლელობის ტოლფასი იყო. ხელისუფლება არც ერთ ოპოზიციურ ორგანიზაციას არ სდევნიდა ისეთი სისასტიკით, როგორც ჰელსინკის ჯგუფის წევრებს. ხშირი იყო რეპრესიები, პირდაპირი ტერორის შემთხვევები. ჰელსინკის ჯგუფების მრავალი წევრი ფიზიკურად გაანადგურეს სხვადასხვა რესპუბლიკაში. ჰელსინკის ჯგუფის დაარსების მოკლე ისტორია ასეთია:

1975 წლის 31 ივლისს ჰელსინკში დაიდო ხელშეკრულება მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოთა შორის, რომელმაც მსოფლიო პოლიტიკაში ხალხებს საერთაშორისო სამართლის პრინციპებზე დაფუძნებული ახალი ჰუმანური ერის დაწყების იმედი მისცა. დემოკრატიულ სახელმწიფოებთან ერთად ხელშეკრულებას ხელს აწერდა საბჭოთა კავშირი, მსოფლიოს უკანასკნელი ტოტალიტარული იმპერია, რამაც დაპყრობილ ერებს საერთაშორისო პრაქტიკაში თავისუფლებისა და დემოკრატიის პრინციპების გამარჯვების და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა პრინციპების სამართლებრივი გარანტიების დაკანონების იმედი ჩაუსახა.

მონაწილე ქვეყნებმა პატივი უნდა სცენ ადამიანის უფლებებსა და ძირითად თავისუფლებებს: აზრის, სინდისის, რელიგიისა და შეხედულებათა თავისუფლებების ჩათვლით ყველასთვის, განურჩევლად რასისა, სქესისა, ენისა თუ რელიგიისა.

სახელმწიფოები ხელს შეუწყობენ და განავითარებენ სამოქალაქო, პოლიტიკურ, სოციალურ, კულტურულ, და სხვა უფლებებსა და თავისუფლებების ეფექტურ განხორციელებას, რომელნიც გამომდინარეობენ ადამიანის პიროვნების ღირსებებიდან და არსებით პირობას წარმოადგენენ მისი სრული და თავისუფალი განვითარებისათვის.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა სფეროში მონაწილე ქვეყნები იმოქმედებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების, მიზნებისა და პრინციპების, ასევე ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის შესაბამისად. ამასთან შეასრულებენ თავიანთ ვალდებულებებს იმისდამიხედვით, თუ როგორ არიან ისინი დადგენილნი საერთაშორისო დეკლარაციებში და შეთანხმებებში, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო პაქტების ჩათვლით.

მონაწილე ქვეყნებმა პატივი უნდა სცენ ერთაშორის თანასწორობას და მათ უფლებას. აგრეთვე უნდა იმოქმედონ საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად, იმ ნორმების ჩათვლით, რომელნიც ეხება სახელმწიფოთა ტერიტორიულ მთლიანობას. გარედან ჩარევის გარეშე ერები თავადვე განსაზღვრავენ თავის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ განვითარებას.

მონაწილე ქვეყნები ადასტურებენ ერთა თანასწორუფლებიანობის საყოველთაო მნიშვნელობას, საკუთარი ბედის განმგებლობის უფლების პატივისცემას და ეფექტურ განხორციელებას, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ყველა სახელმწიფოთა შორის მეგობრული ურთიერთდამოკიდებულების განვითარებისათვის; ისინი შეახსენებენ ურთიერთს აგრეთვე იმის მნიშვნელობას, რომ უნდა გამოირიცხოს ამ პრინციპის დარღვევა ნებისმიერი ფორმით.

ჰელსინკის ჯგუფის დეკლარაციაში ნათქვამი იყო, რომ ამ ხელშეკრულების დადების შემდეგ საბჭოთა კავშირს დაუყოვნებლივ უნდა შეეწყვიტა საქართველოს ანექსია, გაეყვანა მისი ტერიტორიიდან თავისი ჯარები და მიეცა მისთვის სრული დამოუკიდებლობა, ხოლო, საბჭოთა კავშირის მიერ, საქართველოს ანექსიის გაგრძელება, შეფასებული იყო როგორც დარღვევა საერთაშორისო სამართლის ყველა აღიარებული ნორმისა, დარღვევა ჰელსინკის ხელშეკრულებისა და საერთაშორისო დანაშაული.

უნდა აღინიშნოს, რომ 1975 წელს საქართველოს ოფიციალურ პრესაში ეს ხელშეკრულება გამოქვეყნდა კუპიურებით, სრული სახით იგი არ გამოქვეყნებულა (კუპიურები გამოაქვეყნა ჰელსინკის ჯგუფის თვითგამოცემულმა ჟურნალმა „მატიანემ” 1989 წლის მესამე ნომერში).

აღნიშნული ხელშეკრულების დადების პერიოდში საქართველოში უკვე დაწყებული იყო ეროვნული მოძრაობა, თუმცა მას ტოტალიტარული, რეპრესიული რეჟიმის ბატონობის გამო ნახევრად იატაკქვეშა ხასიათი ჰქონდა.

როგორც ცნობილია, საქართველოში ჯერ კიდევ 50-იანი წლებიდან არსებობდა არალეგალური იატაკქვეშა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ორგანიზაცია „ჯორგასლიანი”, რომლის წევრები ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა, ა. მიქაძე. ვ. სიხარულიძე, ო. გუნჯუა და სხვები გაასამართლეს 1956 წლის 4 აპრილს ეგრეთ წოდებული „ანტისაბჭოთა მოღვაწეობისთვის” (იხ. საქმე №457, განაჩენი საქართველოს სსრ სახელით საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს კოლეგიისა 1957 წლის 3, 4, 5 აპრილის სხდომისა), ხოლო 1974 წლიდან საქართველოში ღიად არსებობდა ზვიად გამსახურდიას მიერ დაარსებული ადამიანის უფლებათა დაცვის საინიციატივო ჯგუფი, რომელიც თანამშრომლობდა საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებში არსებულ ანალოგიურ ჯგუფებთან, აქვეყნებდა მასალებს მოსკოვის თვითგამოცემისეულ ჟურნალ „მიმდინარე ამბების ქრონიკაში”, ჰქონდა არალეგალური ოფსეტური საამქროები, სადაც ამრავლებდა და სტამბური წესით გამოსცემდა თვითგამოცემულ ლიტერატურას, მათ შორის ა. სოლჟენიცინის „გულაგის არქიპელაგს”, სახაროვის წიგნებს და ასე შემდეგ.

ჰელსინკის ხელშეკრულების დადების შემდეგ, მთელს საბჭოთა კავშირში შეიქმნა ამ ხელშეკრულების შესრულებისათვის ხელისშემწყობი საზოგადოებრივი ჯგუფები. საქართველოში ასეთი ჯგუფი შეიქმნა ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას ინიციატივით. ისინი არიან ამ ჯგუფის დამაარსებელნი.

ჯგუფის საქმიანობა საქართველოში წარმოადგენდა ადამიანის უფლებათა დაცვის საინიციატივო ჯგუფის საქმიანობის გაგრძელებას და უფრო ფართო მასშტაბის გაშლას. კერძოდ, ჯგუფის მიზანი იყო ჰელსინკის შეთანხმების აქტის პოპულარიზაცია, თვალყურის დევნება, თუ როგორ სრულდებოდა ეს ხელშეკრულება საქართველოში, როგორ ხორციელდებოდა მისი ჰუმანიტარული პუნქტები.

მართალია ჯგუფი ლეგალურად, ღიად არსებობდა, მაგრამ მისი პრაქტიკული მოქმედება: ჟურნალის გამოცემა, მასალათა გამრავლება და ინფორმაციის გაგზავნა საზღვარგარეთ, უშიშროების ორგანოების მხრივ მეთვალყურეობისა და დევნის მიზეზით ნახევრად არალეგალური მეთოდებით ხდებოდა.

ჯგუფი აგროვებდა დიდძალ ინფორმაციას საჭირბოროტო ეროვნული და სოციალური პრობლემების შესახებ ადმინისტრაციული, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში, იბრძოდა ქართული ენის უფლებების, საქართველოს ეკლესიის და კულტურის ძეგლთა დასაცავად, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა გარანტიებისათვის. ეს ინფორმაცია გადაეცემოდა უცხოეთის პრესის და სხვა საინფორმაციო საშუალებებს, აგრეთვე მოსკოვის თავისუფალ პრესას.

კომუნისტური ხელისუფლების მამხილებელი თვითგამოცემისეული ჟურნალ „საქართველოს მოამბე"-ს პირველი ნომერი ჯგუფმა გამოსცა ზვიად გამსახურდიას რედაქტორობით 1976 წლის დეკემბერში (მანამდის უკვე გამოდიოდა მისივე რედაქტორობით 1975 წლიდან არალეგალური ლიტერატურულ-პოლიტიკური ჟურნალი „ოქროს საწმისი"). ჟურნალის გამოსვლას მიესალმნენ ცნობილი რუსი დისიდენტები ა. სახაროვი და ა. ამალრიკი). ამის შემდეგ ოფიციალურ პრესაში გაჩაღდა უპრეცედენტო კამპანია ჰელსინკის ჯგუფის წევრთა წინააღმდეგ. ზვიად გამსახურდია ოფიციალურად გარიცხეს მწერალთა კავშირიდან, რასაც მოჰყვა 1977 წლის 7 აპრილს მისი და მერაბ კოსტავას დაპატიმრება. ისინი გაასამართლეს 1978 წლის 18 მაისს და მიუსაჯეს სამი წლით თავისუფლების აღკვეთა და ორი წლით გადასახლება.

ზვიად გამსახურდიას სასამართლოზე არ მოუნანიებია ჰელსინკის ჯგუფის შექმნა და არ გამოუცხადებია მისი თვითდაშლა (იხ. მ. კოსტავა, „ჰელსინკის ჯგუფის ისტორია საქართველოში", გაზ. „საქართველო" 1990 წლის 11 თებერვალი).

ჰელსინკის ჯგუფმა განაგრძო არსებობა და დოკუმენტების გამოშვება, რომელსაც ზოგჯერ ხელს აწერდა მხოლოდ ერთი კაცი, კერძოდ, ზ. გამსახურდია გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ და მ. კოსტავა ბანაკში ყოფნისას.

ჰეკსინკის ჯგუფი აგროვებდა და უცხოეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს გადასცემდა ყველა მამხილებელ ინფორმაციას საქართველოში ადამიანური და ეროვნული უფლებების დარღვევის, პოლიტპატიმრების, აფხაზეთისა და საინგილოს ქართველთა დევნის შესახებ და ეკლესიის მდგომარეობის შესახებ 80-იან წლებში.

1987 წელს, შედარებითი ლიბერალიზაციისა და პოლიტპატიმრების გათავისუფლების შემდეგ, ჰელსინკის ჯგუფი და მისი ორი ლიდერი გამსახურდია და კოსტავა აქტიურად მონაწილეობდნენ საქართველოში გამართულ თითქმის ყველა დიდ და მცირე საპროტესტო აქციაში.

კავშირი 1989 წლიდან უშვებს ჟურნალ „მატიანე"-ს ქართულ ენაზე და საინფორმაციო ჟურნალს „ვესტნიკ გრუზიი" რუსულ და ინგლისურ ენებზე უცხოეთის საინფორმაციო საზოგადოებრიობისათვის.

ჰელსინკის ჯგუფი იყო ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორი წვევამდელთა აქციებისა 1989 წლის მაისიდან ოქტომბრამდე. ამ პერიოდშივე ჰელსინკის ჯგუფი გარდაიქმნა ჰელსინკის კავშირად, ხოლო ოქტომბერში „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნულ აღორძინებად".

ამ დროს კავშირი არა მარტო გაიზარდა რიცხობრივად, არამედ გააფართოვა თავისი მოქმედების არეალი. იგი უკვე იყო არა მარტო უძველესი სამართალდამცავი ორგანიზაცია, არამედ შეიძინა სრული პოლიტიკური ორგანიზაციის დატვირთვა. 1989 წლის ოქტომბერში იმართება „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინების" (ერთადერთი და ნამდვილი სამართალმემკვიდრე ორგანიზაცია 1976 წლის ჰელსინკის ჯგუფისა) I ყრილობა, რომელზეც მიიღეს კავშირის წესდება და პროგრამა. კავშირის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ბატონი ზვიად გამსახურდია, ხოლო ორგანიზაციის მმართველ და ხელმძღვანელ ორგანოში – მის ცენტრალურ გამგეობაში შედიოდნენ ბატონები: თეიმურაზ ქორიძე, გიორგი ხოშტარია და ავთანდილ რცხილაძე.

კავშირის სახელწოდებას დაემატა მისი მიზანი, რასაც ისახავდა ორგანიზაცია - „ეროვნული აღორძინება". შემდგომ პერიოდებში, ისტორიის დამახინჯებულად წარმოდგენის მიზნით, ზოგიერთ პირთა მიერ რამდენჯერმე გაიჟღერა კავშირის სრულ სახელწოდებასთან დაკავშირებულმა თითქოს გაორებულმა აზრებმა, მაგრამ დღემდე არ არსებობს არცერთი იურიდიულად დასაბუთებული მასალა სახელწოდების შეცვლის, გარდაქმნის, ან უკუშეცვლის შესახებ.

ამრიგად, 1989 წლიდან ორგანიზაცია არსებობდა და დღესაც არსებობს „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინებ"-ის სახელწოდებით.

„საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინების" (შემოკლებულად „საქართველოს ჰელსინკის კავშირი") უშუალო მონაწილეობით მთელს საქართველოში ტარდებოდა სხვადასხვა მნიშვნელოვანი პოლიტიკური აქციები. კავშირი სხვა პოლიტიკურ ორგანიზაციებთან ერთად ორგანიზატორი იყო ყველა საპროტესტო აქციისა დემოკრატიული საარჩევნო კანონის გასატანად და დასამტკიცებლად.

1990 წლის 11 მაისს იქმნება საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა მრგვალი მაგიდა, რომლის ერთ-ერთი დამფუძნებელია სწორედ „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინება".

1990 წლის სექტემბერში კავშირი გადის რეგისტრაციას ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში და „მრგვალი მაგიდის" სხვა პარტიებთან ერთად ჰქმნიან საარჩევნო ბლოკ „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს".

1990 წლის 28 ოქტომბრის მრავალპარტიულ არჩევნებში ბლოკი „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო" ღებულობს ხმათა 54 პროცენტს, იმარჯვებს და ჰქმნის უზენაესი საბჭოს უმრავლესობას. კავშირს უზენაეს საბჭოში ჰყავდა მნიშვნელოვანი წარმომადგენლობა, როგორც პარტიული, ისე მაჟორიტარული სიით, ხოლო 1991 წლის 31 მარტს, საქართველოს ადგილობრივი მმართველობითი ორგანოების – საკრებულოების არჩევნებში, იგი კვლავ იმარჯვებს დიდი უპირატესობით და ძირითადად აკომპლექტებს ადგილობრივ-მმართველობით ორგანოებს. 1991 წლის 31 ოქტომბერს საქართველოს რესპუბლიკის კანონის - „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" შესაბამისად სამთავრობო გაზეთში „საქართველოს რესპუბლიკა" ქვეყნდება „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინების" წესდება და კავშირი კანონის „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ" მეოთხე მუხლის თანახმად ჩაითვალა ლეგალიზებულად „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინების" სახელწოდებით. რადგან იმავე წლის 1 ნოემბერს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილებით შეჩერდა „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" 1991 წლის 10 აგვისტოს კანონის მოქმედება, შეჩერდა მისი რეგისტრაციის საკითხიც იუსტიციის სამინისტროში.

1991 წლის 9 ნოემბერს გაიმართა „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინებაის" II ყრილობა, რომელმაც მოუწოდა ქართველ ერს გადაარჩინონ დემოკრატია, საშკარაოზე გამოიყვანონ ცრუ პარტიები და ცრუ ორგანიზაციები. ყრილობამ კავშირის თავმჯდომარედ ერთხმად აირჩია ბატონი ზვიად გამსახურდია, თავმჯდომარის მოადგილედ არჩეულია ვახტანგ ჭითავა, გამგეობის წევრებად თეიმურაზ ქორიძე, ავთანდილ რცხილაძე და ნუგზარ მოლოდინაშვილი (გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა" 1991 წლის 12 ნოემბერი).

1991-1992 წლის დეკემბერ-იანვრის ცნობილი მოვლენების (სახელმწიფო, სამხედრო-კრიმინალური გადატრიალების) შემდგომ კავშირის წევრები, ხუნტის მიერ სატიკად დევნილი და კანონგარეშე გამოცხადებულნი, ქართველი ერის შეუდრეკელ შვილებთან ერთად აქტიურად მონაწილეობდნენ ყველა იმდროინდელ საპროტესტო მიტინგებსა თუ აქციებში.

კავშირი კვლავ განაგრძობდა აქტიურ მოქმედებას პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსულ ახალ ძალებთან („საქართველოს ეროვნული ხსნის მოძრაობა – წინააღმდეგობის ფრონტი", ქართველთა ეროვნული დარაზმულობა - „ქედი", „ჟურნალისისტთა დამოუკიდებელი ლიგა", „ალექსანდრე ბატონიშვილის საზოგადოება", „საუნივერსიტეტო საზოგადოება", „სრულიად საქართველოს ინტელიგენციის დარბაზი", „ქართველ სტუდენტთა ეროვნული კავშირი", „დაუმორჩილებლობის კომიტეტი") და „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო"-ს დარჩენილ პოლიტიკურ ძალებთან („სრულიად საქართველოს წმიდა ილია მართლის საზოგადოება", „ეროვნული ფრონტი – რადიკალური კავშირი", „ეროვნულ-ლიბერალური კავშირი") ერთად.

1992 წლის ბოლოსათვის უკვე გამოიკვეთა საქართველოს მთელს ტერიტორიაზე არსებული პოლიტიკურ ძალთა ხელახალი კოორდინირების აუცილებლობა. ამ თვალსაზრისით „მრგვალი მაგიდა", რომლის სტრუქტურა ითვალისწინებდა შემავალ ორგანიზაციათა პარიტეტსა და საკითხების გადაწყვეტის კონსესუსის მიღწევით პრინციპს, ყველა მოქმედი პოლიტიკური ორგანიზაციის დარაზმვისა და კოორდინირების საუკეთესო შესაძლებლობას ჰქმნიდა.

1992 წლის საპარლამენტო არჩევნებში „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინება" არ მონაწილეობდა, გამოცხადებული ჰქონდა ბოიკოტი და ეროვნული დაუმორჩილებლობა.

1993 წლის აპრილში განახლდა საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა გაერთიანების „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს" მუშაობა, რომელშიც კვლავ აქტიურად მონაწილეობდა მისი ერთ-ერთი დამფუძნებელი ორგანიზაცია „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინება".

1993-1994 წლებში კავშირის სხვადასხვა სტრუქტურულ-იერარქიულ საფეხურებზე მდგომი წევრების მცირე ჯგუფი (1993 წელს - მალულად, ხოლო 1994 წელს კავშირის თავმჯდომარის არყოფნის შემდგომ - ღიად) აქტიურად დაუპირისპირდა კავშირის პოლიტიკურ კურსსა და 1994 წლიდან კავშირის თავმჯდომარის მოადგილეს ბატონ ვახტანგ ჭითავას.

1994 წლის 18 დეკემბერს თბილისში ზემოთხსენებულმა მცირე ჯგუფმა კავშირის წესდების ყოველგვარი დარღვევით ჩაატარეს ე. წ. კავშირის III რესპუბლიკური კონფერენცია, რომელზეც შეცვალეს წესდება (რისი უფლება-მოსილიც კავშირის წესდების მიხედვით არის მხოლოდ ყრილობა), გააუქმეს თავმჯდომარისა და მისი მოადგილის პოსტები, გააუქმეს კანონიერი ცენტრალური გამგეობა და აირჩიეს მათთვის სასურველი ხელმძღვანელთა რგოლი (იხ. გაზ. „თავისუფალი საქართველო" 1995 წლის 14-20 იანვარი). მანამდე, 1994 წლის სექტემბერ-ნოემბრის გაზეთ „არჩევანში" მათ მიერ გამოქვეყნებულ, ვითომდა კავშირის II ყრილობაზე მიღებული ახალი წესდების მიხედვით, კავშირის დასახელება არის მხოლოდ „საქართველოს ჰელსინკის კავშირი" (ანუ მისი შემოკლებითი დასახელება), რაც ნიშნავს, რომ თურმე კავშირი 1991 წლის ნოემბრიდან გარდაქმნილა არასამთავრობო ორგანიზაციად. აბსურდულია, ვითომდა ერთი სიტყვის ჩამატებით მიღებული წესდებით, ასევე სიტყვათა წყობა „ეროვნული აღორძინების" ამოღებით, მათ სურდათ ჩამოეცილებინათ კავშირისათვის მისი 1991-94 წლების ისტორია და რაც მთავარია პოლიტიკური მნიშვნელობა, გადაეყვანათ კავშირი არასამთავრობო ორგანიზაციის დონეზე, მათ სურდათ ძველი დიდების ბაზისზე ახალი (თავისი) კავშირის შექმნა და პოლიტიკური კურსის შეცვლა.

მათ განზრახვებს წინ აღუდგა ჭეშმარიტად სამართლებრივი გზებით მებრძოლი კავშირის წევრები, რომლებიც დაირაზმნენ კავშირის თავმჯდომარის მოადგილის ბატონ ვახტანგ ჭითავას გარშემო. თავმჯდომარის მოადგილემ, რომელიც უკვე აუცილებლობითაც ასრულებდა თავმჯდომარის უფლება-მოვალეობებს, გამოიყენა თავისი უფლება და გამოაცხადა კავშირის წევრთა რეგისტრაცია ყრილობის ჩასატარებლად, (გაზეთი „ძველი სახლი" 1995 წლის 1 მარტი).

ფსევდო-კავშირელთა ზემოთხსენებული ჯგუფი 1995 წლიდან კვლავ ახალი ბრალდებებით ცდილობდა თავისი მზაკვრული მიზნების მიღწევას და უკვე თავმჯდომარის მოადგილეზე შეთხზეს ახალი პასკვილი, თითქოს 1993 წლის 4 ივლისს კავშირის თავმჯდომარეს გაეუქმებინოს თავმჯდომარის თანამდებობა (გაზეთი „აღდგომა" №3 (70) 1995 წ. მარტი). კავშირის წევრთა უდიდესი უმრავლესობის სახელით, ასევე „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს" სხვა პარტიებისა, თუ წევრთა მიერაც, რომელზედაც ფსევდო-კავშირელები ილაშქრებდნენ, გაცემული პასუხებიდან მაგალითისათვის აღსანიშნავია 1995 წლის 9 აპრილის გაზეთ „კოლხური კოშკი", №3-ში მოთავსებული ერთ-ერთი სტატია „სიცრუესაც აქვს საზღვარი". 1995 წლის 17-18 მაისს პოლიტიკური კურსიდან გადახვეულმა მცირე ჯგუფმა ჩაატარა კავშირის ცრუ III ყრილობა და მასზე მიღებული დადგენილებით აშკარად დაუპირისპირდნენ არამარტო „საქართველოს ჰელსინკის კავშირი–ეროვნულ აღორძინებას", არამედ თვით გაერთიანება „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს". მათი მიზანი უკვე ნათლად გამოიკვეთა – კავშირისა და „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს" უზურპაცია და მათთვის სასურველი პოლიტიკური კურსით სვლა, რაც ეროვნული მოძრაობის დაქუცმაცებასა და დაშლას ითვალისწინებდა.

1995 წლის 1 ოქტომბერს ჩატარდა „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინებ"-ის III ყრილობა.

ყრილობამ მიიღო ახალი (განახლებული) წესდება და პროგრამა. კავშირის თავმჯდომარის მოადგილედ არჩეულ იქნა ბატონი თენგიზ კიკაჩეიშვილი, რომელიც 1993 წლიდან ასევე არჩეული იყო „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს" ვიცე-სპიკერი. ყრილობამ მის გარდა ცენტრალურ გამგეობაში აირჩია ბატონები: თამაზ კალაძე, ნუკრი ბაღდავაძე, გიორგი ხუციშვილი, ვახტანგ ჭითავა, ბიძინა ჩოლოყაშვილი და ვალტერ შურღაია. შემდგომ კი ცენტრალურმა გამგეობამ დროებით ბატონი ვახტანგ ჭითავას (რომელიც იმ პერიოდში ავადმყოფობდა) შემცვლელად აირჩია ბატონი ზურაბ მანჩხაშვილი, ხოლო იმხანად დევნილობაში და პატიმრობაში მყოფი ბიძინა ჩოლოყაშვილისა და ვალტერ შურღაიას ნაცვლად ცენტრალურ გამგეობაში შეიყვანა ბატონები თორნიკე ამაშუკელი და ილარიონ მიროტაძე.

კავშირი ყრილობის შემდგომ კვლავ აქტიურად მონაწილეობდა, გამოაცხადა ეროვნული დაუმორჩილებლობა და არც 1995 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე უჭერდა მხარს არავის.

1996 წლის ბოლოსათვის კვლავ ჩნდება საშიშროება კავშირის შიგნითა კონფლიქტისა, რომელსაც კავშირში შემოსული, თუ შემოგზავნილი და გარკვეულ იერარქიაზე მომჯდარი პიროვნებები ახორციელებენ.

თორმეტკაციანი ჯგუფი კვლავ ცდილობს შიგა სტრუქტურული დაუმორჩილებლობის გატარებას და კავშირის პოლიტიკური კურსიდან გადახვევას, რაც საბოლოოდ ისევ ლოგიკურ შედეგამდე მიდის. ეს ჯგუფიც გაირიცხა კავშირიდან, მაგრამ კვლავ და კვლავ არ ჩერდება ჯერჯერობით ის უხილავი ძალები, რომლებიც ჰქმნიან კავშირის დაქუცმაცებასა და დაპარალებების საშიშროებას.

1996 წლიდან კავშირში მწიფდება აზრი კავშირის პოლიტიკური ბრძოლის ტაქტიკის შეცვლისა, რაც მდგომარეობდა თანდათანობით, პოლიტიკური სვლებით, კავშირს თავისი მიზნების მისაღწევად გამოეყენებინა ასევე არჩევნებში მონაწილეობის ხერხიც, რაც პოლიტიკური

მოქმედების არეალის გაფართოებისა და ამავდროულად თავდაცვით საშუალებასაც მისცემდა.. 1997 წლის 26 სექტემბერს „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინება" გადის რეგისტრაციას იუსტიციის სამინისტროში (რეგისტრაციის მოწმობა № 0152) და ემზადება არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად. 1997 წლის დეკემბერში იმართება რიგგარეშე მე-4 ყრილობა, სადაც განიხილება ახალი სამოქმედო გეგმები და არჩევნებში მონაწილეობის საკითხი. ყრილობამ კავშირის თავმჯდომარედ აირჩია ბატონი თ. კიკაჩეიშვილი, ცენტრალური გამგეობის წევრებად კი დაამტკიცა ბატონები: ნუკრი ბაღდავაძე (კავშირის თავმჯდომარის მოადგილე), თამაზ კალაძე, გიორგი ხუციშვილი, თორნიკე ამაშუკელი, ილარიონ მიროტაძე და ზურაბ მანჩხაშვილი.

კვლავ ამოქმედდა კავშირის საწინააღმდეგო შიგა თუ გარე ძალები, ასევე კავშირის ზოგიერთი ამბიციური წევრები, რომელნიც ცდილობენ ეს ყოველივე გამოეყენებინათ თავიანთ სასარგებლოდ. კავშირიდან მათი გამოვლენისა და გარიცხვის შემდგომ, ამ პიროვნებებმა მისნაირ აზრობრივად მონათესავე „მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველოს" სხვა პარტიებიდან გარიცხულ წევრებთან ერთად თუ ხელშეწყობით, შეჰქმნეს პარალელური სტრუქტურა პარტია „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს" სახით და ფსევდოსახელით მოინდომეს მომავალ არჩევნებში მონაწილეობა.

1997 წლიდან ფსევდო და პარალელურ სტრუქტურებთან ბრძოლა იურიდიულ ხასიათს ღებულობს და ხდება ყველა რანგის სასამართლოების განხილვის საგანი.

1998 წლის 23 იანვარს „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინება", ახალი კანონის („პოლიტიკურ გაერთიანებათა შესახებ", 1997 წლის 31 ოქტომბერი) საფუძველზე ხელახალ რეგისტრაციას გადის საქართველოს იუსტიციის სამინისტროში (რეგისტრაციის მოწმობა № 0007). ასევე რეგისტრაციას გადიან „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოში" შემავალი სხვა პარტიებიც. თუმცა 1998 წლის ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოების არჩევნებში კავშირი არ მონაწილეობდა არადემოკრატიული საარჩევნო კანონისა და მმართველობის უზურპაციული ფორმების გამო.

1999 წლის 26 თებერვალს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში, „საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-14 მუხლის საფუძველზე, რეგისტრაციაში გატარდა ბლოკი „მრგვალი მაგიდა-თავისუფალი საქართველო" თავისი შემადგენელი ორგანიზაციებით: „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინება", „სრულიად საქართველოს წმინდა ილია მართლის საზოგადოება", „საქართველოს ქრისტიან-კონსერვატიული პარტია", „საქართველოს ქრისტიან-სოციალური კავშირი", „საქართველოს სამეფო ლიგა". (დადგენილება №7 (316).

1999 წლის 1 სექტემბერს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში ხელახალ რეგისტრაციას გადის „მრგვალი მაგიდა-თავისუფალი საქართველო" მასში შემავალი პარტიებით: „საქართველოს ჰელსინკის კავშირი-ეროვნული აღორძინება", „საქართველოს ქრისტიან-კონსერვატიული პარტია", „საქართველოს ქრისტიან - სოციალური კავშირი", „საქართველოს სამეფო ლიგა", „სახალხო-დემოკრატიული კავშირი _ ქრისტიან დემოკრატები", „სრულიად საქართველოს წმიდა ილია მართლის საზოგადოება" (დადგენილება №55/1999).

1999 წლის 4 აგვისტოს №24/1999 ცსკ-ს დადგენილებით რეგისტრაციაზე უარი ეთქვა ფსევდოპარტია „მრგვალი მაგიდა-თავისუფალი საქართველოს", რომელმაც საკითხი გაასაჩივრა სასამართლოში და ბოლოს 1999 წლის 9 აგვისტოს უზენაესმა სასამართლომ თავისი გადაწყვეტილებით ძალაში დატოვა ცსკ-ს №24/ 1999 დადგენილება.

1999 წლის 4 ოქტომბერს ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით (საქმე №2/1207) ყოველგვარი მოტივაციის გარეშე კმაყოფილდება არარეგისტრირებული ე. წ. ორგანიზაცია - „საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა მრგვალი მაგიდის" (ხელმძღვანელი მ. არჩვაძე) საარჩელი და საარჩევნო ბლოკის „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს" სახელწოდებისა და სიმბოლიკის გამოყენება ეკრძალებათ ყველა მოპასუხე საარჩევნო ბლოკ „მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველოს" (სპიკერი თ. კიკაჩეიშვილი) და ე. წ. პარტია „მრგვალი მაგიდა-თავისუფალი საქართველოს" (ხელმძღვანელი გ. ხუციშვილი).

ყოველივე ამის შემდგომ კიდევ უფრო აქტიურდებიან „მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველოს" და მისი დამფუძნებელი ორგანიზაციის „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების" წინააღმდეგ მიმართული ძალები.

1999 წლის 28 ოქტომბერს ქ. თბილისის ვაკის რაიონულ სასამართლოში არარეგისტრირებულ ორგანიზაციას - „საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა მრგვალ მაგიდას" (ხელმძღვანელი მ. არჩვაძე) შეაქვს დამატებითი სარჩელი, სადაც მოითხოვს დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანას იმ საკითხზე , რომ მოპასუხეს, ამჯერად „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნულ აღორძინებას" აეკრძალოს სახელწოდების გამოყენება და ასევე ითხოვს საქართველოს იუსტიციის სამინისტროში კავშირის რეგისტრაციის გაუქმებას. ამ სარჩელზე, 1999 წლის 11 ნოემბერს, მოსარჩელეს ეთქვა უარი განცხადების შეტანის ხანდაზმულობის გამო (საქმე №2/1207).

1999 წლის 29 ოქტომბერს საარჩევნო ბლოკ „მრგვალი მაგიდა-თავისუფალი საქართველოს" (სპიკერი თ. კიკაჩეიშვილი), შეაქვს სააპელაციო საჩივარი საოლქო სასამართლოში.

1999 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში საარჩევნო ბლოკ „მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველოში" შემავალი „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინება" ღებულობს მონაწილეობას, მაგრამ ყოველივე ზემოთთქმული ფაქტორებიდან გამომდინარე, ეროვნული მოძრაობის პარტიების წინააღმდეგ მიმართული აშკარა დაქუცმაცებისა და დაპარალელების მცდელობების, შუღლის გაღვივების, ამომრჩეველთა დაბნევისა და ხმების დაკარგვის გზებით, გარკვეულ მიზანს აღწევენ – კავშირი ვერ აგროვებს არჩევნებზე ხმების საჭირო კვოტას და მარცხდება.

2000 წლის 25 აპრილს იმართება თბილისის საოლქო სასამართლო პროცესი თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 1999 წლის 4 ოქტომბრის გადაწყვეტილებაზე (საქმე №02ბ- 92) და ღებულობს კვლავ ყოვლად დაუსაბუთებელ გადაწყვეტილებას: არ დაკმაყოფილდეს სააპელაციო საჩივარი და უცვლელი დარჩეს თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 1999 წლის 4 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

შემდგომ საკასაციო საჩივარი შეტანილ იქნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში, რომელმაც ერთხელ უკვე გამოიტანა თავისი გადაწყვეტილება ამ საკითხთან მიმართებაში და, მაშინ, პარტია „მრგვალი მაგიდა-თავისუფალი საქართველოსთან" ანალოგიურ ჭიდილში უპირატესობა სამართლებრივად მიაკუთვნა ბლოკ „მრგვალი მაგიდა-თავისუფალი საქართველოს" (სპიკერი თ. კიკაჩეიშვილი).

2000 წლის 18 ივნისს ჩატარდა „საქართველოს ჰელსინკის კავშირი-ეროვნული აღორძინების" მე-5 ყრილობა (იუსტიციის სამინისტროში რეგისტრაციის მოწმობის № 0007, 2000 წლის 21 ივლისი). ყრილობამ მიიღო ახალი განახლებული წესდება და პროგრამა. კავშირის თავმჯდომარედ კვლავ არჩეულ იქნა ბატონი თენგიზ კიკაჩეიშვილი, კავშირის თავმჯდომარის მოადგილედ - ბატონი ნუკრი ბაღდავაძე, პრეზიდიუმის დანარჩენ წევრებად კი ბატონები: მერაბ ჩიხრაძე, თორნიკე ამაშუკელი, ილარიონ მიროტაძე, ჯუმბერ ბლიაძე და აბესალომ მგალობლიშვილი. ყრილობაზე არჩეულ იქნა ასევე საკონტროლო-სარევიზიო კომისია .

2000 წლის 12 სექტემბერს იმართება საქართველოს უზენაესი სასამართლო პროცესი (საქმე №3ბ/ად-94-კ).

საარჩევნო ბლოკ „მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველოს" საკასაციო საჩივარი კვლავ უსამართლო მოტივაციით არ დაკმაყოფილდა და ძალაში დარჩა თბილისის საოლქო სასამართლოს 2000 წლის 25 აპრილის განჩინება. როგორც საოლქო, ასევე უზენაესი სასამართლო კვლავ ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ დავის საგანს არ წარმოადგენს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების"

სახელწოდება, რომლის სახელის გამოყენების მართლზომიერების საკითხი მიუხედავად კასატორის მოთხოვნისა სასამართლოზე არ დამდგარა, მოსარჩელემ, როგორც სააპელაციო, ასევე უზენაეს სასამართლოზე უარი განაცხადა დავის საგნის გაზრდაზე.

2000 წლის 25 ნოემბრის კავშირის გაფართოებულ სხდომაზე კავშირის თავმჯდომარე ბატონი თ. კიკაჩეიშვილი საკუთარი განცხადებით სტოვებს თავმჯდომარის პოსტს და ანებებს თავს პოლიტიკურ მოღვაწეობას, რომელსაც კავშირის პრეზიდიუმი აკმაყოფილებს და ამტკიცებს თავისი 30 ნოემბრის სხდომაზე.

2002 წლის 9 თებერვალს იქმნება „საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა და საზოგადოებრივ გაერთიანებათა საკონსულტაციო საბჭო", რომელშიც 7 პოლიტიკური და 22 არასამთავრობო ორგანიზაცია გაერთიანდა და რომლის ერთ-ერთი დამფუძნებელი იყო „საქართველოს ჰელსინკის კავშირი _ ეროვნული აღორძინება".

საკონსულტაციო საბჭოს სპიკერად არჩეულ იქნა ზაზა სიხარულიძე, ხოლო თანათავმჯდომარეებად - ხათუნა ჟორდანია, ნუკრი ბაღდავაძე და ავთანდილ მემარნიშვილი (გაზეთი „რეზონანსი", 19 თებერვალი, 2002 წელიდა გაზეთი „6 საათზე", 18 თებერვალი 2002 წელი).

შემდგომში (მარტი-აპრილი) საკონსულტაციო საბჭომ იგივე შემადგენლობითა და ხელმძღვანელობით დააფუძნა „საქართველოს ეროვნული ფორუმი" (გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", 7 მარტი, 2002

წელი; გაზეთი „Свободная Грузия", 19 აპრილი, 2002 წელი; გაზეთი „ახალი თაობა", 22 აპრილი, 2002 წელი; გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", 26 აპრილი, 2002 წელი; გაზეთი „ახალი ეპოქა", 19-22 აპრილი, 2002 წელი).

„საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინებამ" მონაწილეობა მიიღო 2002 წლის 2 ივნისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში, კერძოდ ქალაქ თბილისის საკრებულოს არჩევნებში, მაგრამ არადემოკრატიული საარჩევნო კანონის, მმართველობის უზურპაციული ფორმებისა და არჩევნების გაყალბების გზებით ჩატარების გამო კავშირი ვერ აგროვებს არჩევნებზე ხმების საჭირო კვოტას.

2002 წლის 25 ნოემბერს ჩატარდა „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების" მორიგი მე-6 ყრილობა (იუსტიციის სამინისტროში რეგისტრაციის მოწმობის № 007), ყრილობამ მიიღო ახალი განახლებული წესდება და პროგრამა. კავშირის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ბატონი თორნიკე ამაშუკელი, კავშირის თავმჯდომარის მოადგილედ - ბატონი ნუკრი ბაღდავაძე, პრეზიდიუმის დანარჩენ წევრებად კი ბატონები: მერაბ ჩიხრაძე, ილარიონ მიროტაძე და ჯუმბერ ბლიაძე. ყრილობაზე არჩეულ იქნა ასევე საკონტროლო-სარევიზიო კომისია.

2003 წლის 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებში კავშირი არ მონაწილეობდა არადემოკრატიული საარჩევნო კანონისა და მმართველობის უზურპაციული ფორმების გამო.

2004 წლის 28 მარტის საპარლამენტო არჩევნებში კი კავშირმა მიიღო მონაწილეობა საარჩევნო ბლოკ „საქართველოს ეროვნული ფორუმი - ეროვნული აღორძინების" შემადგენლობით, „საქართველოს ღვთისშვილთა კავშირთან" ერთად იმ იმედით, რომ კვლავ დაფიქსირებულიყო საქართველოში აქტიურად მომქმედ პოლიტიკურ არენაზე და ამით კვლავ გაეძლიერებინა თავდაცვითი მექანიზმები, თორემ, საქართველოში მომხდარი ე. წ. „ ვარდების რევოლუცია" ჭეშმარიტად რომ ვერ დაასამარებდა შევარდნაძის რეჟიმს და ვერ მისცემდა დასაბამს ახალ დემოკრატიულ გარდაქმნებს საქართველოში, ამის ილუზია სრულებითაც არ ჰქონია. რა თქმა უნდა, საქართველოსათვის სამწუხაროდ, როგორც მოსალოდნელი იყო, ეს ასე არ მოხდა და კავშირი ბლოკთან ერთად კვლავ პარლამენტს მიღმა აღმოჩნდა.

2005 წლის 20 მაისს იმართება „საქართველოს ჰელსინკის კავშირი-ეროვნული აღორძინების" მორიგი მე-7 ყრილობა (იუსტიციის სამინისტროში რეგისტრაციის მოწმობის № 007). ყრილობამ მიიღო ახალი განახლებული წესდება და პროგრამა. კავშირის თავმჯდომარედ კვლავ არჩეულ იქნა ბატონი თორნიკე ამაშუკელი, კავშირის თავმჯდომარის მოადგილედ - ბატონი ფირუზ დიაკონიძე, პრეზიდიუმის დანარჩენ წევრებად კი ბატონები: მერაბ ჩიხრაძე, ილარიონ მიროტაძე, ჯუმბერ ბლიაძე, ნოდარ კიკნაძე და გოჩა კოშაძე. ყრილობაზე არჩეულ იქნა საკონტროლო-სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობა. ყრილობაზე არჩეულ იქნა ასევე „საქართველოს ჰელსინკის კავშირი-ეროვნული აღორძინების" საპატიო წევრები: ბატონი ზვიად გამსახურდია (საპატიო თავმჯდომარე გარდაცვალების შემდეგ}, ბატონი მერაბ კოსტავა (გარდაცვალების შემდეგ}, ქალბატონი ლალი მაისურაძე (გარდაცვალების შემდეგ}, ბატონი ქიშვარდ ასათიანი (გარდაცვალების შემდეგ}, ბატონი ხანგიზ არეშიძე (გარდაცვალების შემდეგ}, ბატონი რევაზ ბროძელი (გარდაცვალების შემდეგ}, ბატონი ნოდარ ხოსიტაშვილი (გარდაცვალების შემდეგ}, ასევე კავშირის წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის ბატონები: ვახტანგ ჭითავა, თენგიზ კიკაჩეიშვილი და ნუკრი ბაღდავაძე.

„საქართველოს ჰელსინკის კავშირი-ეროვნული აღორძინება" არ მონაწილეობდა 2008 წლის 28 მარტის საპარლამენტო არჩევნებსა და შემდგომ (2008-2013 წლების) არცერთ სხვა სახის არჩევნებში არადემოკრატიული საარჩევნო კანონისა და მმართველობის უზურპაციული ფორმების გამო.

2009 წლის 12 ივლისს გაიმართა „საქართველოს ჰელსინკის კავშირი-ეროვნული აღორძინების" მორიგი მე-8 ყრილობა (იუსტიციის სამინისტროში რეგისტრაციის მოწმობის № 007). ყრილობამ მიიღო ახალი განახლებული წესდება და პროგრამა. კავშირის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ბატონი ფირუზ დიაკონიძე, კავშირის თავმჯდომარის მოადგილედ - ბატონი ნუკრი ბაღდავაძე, პრეზიდიუმის დანარჩენ წევრებად კი ბატონები: თორნიკე ამაშუკელი, ზურაბ მანჩხაშვილი, თამაზ დარახველიძე, გელა ქადარია, და მერაბ ღვინეფაძე. ყრილობაზე არჩეულ იქნა საკონტროლო-სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობა - 1. გოჩა კოშაძე (თავმჯდომარე), 2. გენადი ღუღუნიშვილი (თავმჯდ. მოადგილე), 3. ნანა დვალი, 4. კლარა ტონია, 5. ლალი ბარძიმაშვილი.

2009 წლის ნოემბერში „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების" ინიციატივითა და ორგანიზებით, ემიგრანტულ ორგანიზაციებთან ერთად ცხადდება საქართველოს ეროვნულ - განმათავისუფლებელი მოძრაობის აღდგენა და სპეციალურ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის კონფერენციაზე ხდება საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საკოორდინაციო საბჭოს არჩევა. განისაზღვრა საკოორდინაციო საბჭოს სტრუქტურა, დებულება და სამოქმედო გეგმა.

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საკოორდინაციო საბჭომ დაიწყო თავისი მიზნებისა და ამოცანების განხორციელება.

2013 წლის 7 აგვისტოს გაიმართა „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების" მორიგი მე-9 ყრილობა (იუსტიციის სამინისტროში რეგისტრაციის მოწმობის № 007). ყრილობამ მიიღო ახალი განახლებული წესდება და პროგრამა. კავშირის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ბატონი ნოდარ კიკნაძე, კავშირის თავმჯდომარის მოადგილედ - ბატონი ნუკრი ბაღდავაძე, პრეზიდიუმის დანარჩენ წევრებად კი: ქალბატონები - ზინაიდა შათირიშვილი და ლელა არდაზიშვილი, ბატონები - დავით ევგენიძე, გივი კვანტალიანი და მირიან მაღრაძე. ყრილობაზე არჩეულ იქნა საკონტროლო-სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობა _ 1. თორნიკე ამაშუკელი (თავმჯდომარე), 2. გოჩა კოშაძე (თავმჯდ. მოადგილე), 3. კლარა ტონია, 4. თამაზ დარახველიძე და 5. გელა ქადარია.

ყრილობაზე, საპატიო წევრად: არჩეულ იქნა ასევე, საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ მინისტრი და საქართველოს რესპუბლიკის დევნილი, ემიგრაციული მთავრობის პირველი პირი - საქართველოს რესპუბლიკის დევნილი, ემიგრაციული მთავრობის თავმჯდომარე - ბესარიონ გუგუშვილი.

ასე და ამრიგად, ამ ძნელბედობის ჟამს, „საქართველოს ჰელსინკის კავშირი-ეროვნული აღორძინება" კვლავაც მედგრად დგას და იბრძვის სანუკვარი, დასახული მიზნების მისაღწევად.

„საქართველოს ჰელსინკის კავშირი _ ეროვნული აღორძინებას" კვლავ მიაჩნია, რომ არა რომელიმე სხვა მოწოდება, არამედ - ეროვნულ-სარწმუნოებრივი მოძრაობის გზით, სწორედ სახელმწიფოებრიობის აღმშენებლობის, დემოკრატიული და სუვერენული საქართველოს რესპუბლიკის გადარჩენის იდეა უნდა გახდეს ის შემაკავშირებული სტრატეგია, რომელმაც შესაძლებელი უნდა გახადოს რეალურად ეროვნულ ძალთა გაერთიანება და ეროვნულ-სახელმწიფოებრივ თანხმობის მიღწევა.

კავშირის დევიზია: „დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფო და პიროვნების თავისუფლება".

კავშირი 1976 წლიდან არის „საერთაშორისო ამნისტიციის" (ცენტრი-ლონდონში) წევრი, 1990 წლის 22 სექტემბრიდან არის „ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშირისო ასოციაციის" (IGFM-ISHR, მაინის ფრანსკფურტი) ასოცირებული წევრი.

„საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინება" მჭიდროდ თანამშრომლობდა და კვლავაც სურს გააფართოოს ურთიერთობები აშშ-ს სამართალდამცავ ორგანიზაცია „ჰიუმან რაითს ვოთჩ ჰელსინკთან", დიდი ბრიტანეთისა და ფინეთის ჰელსინკის ჯგუფებთან, ფინეთის პარლამენტის ე. წ. „საქართველოს ჯგუფთან", პატიმართა უფლებების დამცავ ორგანიზაცია „საერთაშირისო ამნისტია"-სთან (ინგლისი) და ა.შ.

ზემოთქმულიდან გამომდინარე „საქართველოს ჰელსინკის კავშირი-ეროვნული აღორძინება" ეყრდნობა რა, უპირველეს ყოვლისა, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის აუცილებლობის ძირითად პრინციპებს, კვლავ ხაზს უსვამს, რომ არსებული კრიზისული მდგომარეობიდან საქართველოს გამოსახსნელი ერთადერთი გზაა ყველა ეროვნული ღირსების მქონე ჯანსაღ ძალთა ეროვნულ-სარწმუნოებრივ მოძრაობაში გაერთიანება და საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი აღმშენებლობისათვის ბრძოლა. სახელმწიფო ხომ ერის პოლიტიკური და სულიერი დამკვიდრებაა. საზოგადოების განვითარების აუცილებელი პირობა ერთიანი სახელმწიფოებრივი პოლიტიკური კურსის შემუშავებაა, რომელიც შეცვლის ქვეყნის ბედს და მივაღწევთ იმ ბედნიერებას, რომელსაც დიდი ხანია ვიმსახურებთ.

კავშირის ელ-ფოსტა: e-mail: helsinkiunion@gmail.com

საკონტაქტო პირები:

კავშირის თავმჯდომარე - ნოდარ კიკნაძე

თავმჯდომარის მოადგილე - ნუკრი ბაღდავაძე

„საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების“ თავმჯდომარეები 1989 წლიდან დღემდე

1989 წლის **10** ოქტომბრიდან **1993** წლის **31** დეკემბრის ჩათვლით - ბატონი ზვიად გამსახურდია;
1997 წლის **25** დეკემბრიდან **2000** წლის **25** ნოემბრამდე - ბატონი თენგიზ კიკაჩეიშვილი;
2002 წლის **25** ნოემბრიდან **2009** წლის **12** ივლისამდე - ბატონი თორნიკე ამაშუკელი;
2009 წლის **12** ივლისიდან **2013** წლის **7** აგვისტომდე - ბატონი ფირუზ დიაკონიძე;
2013 წლის **7** აგვისტოდან (**2017** წლის სექტემბრამდე ვადით) - ბატონი ნოდარ კიკნაძე.

შუალედურ პერიოდებში, კავშირის თავმჯდომარის მოვალეობებს, წესდების შესაბამისად ასრულებდნენ კავშირის თავმჯდომარის მოადგილეები:
1994 წლის **1** იანვრიდან **1995** წლის **1** ოქტომბრამდე - ბატონი ვახტანგ ჭითავა;
1995 წლის **1** ოქტომბრიდან **1997** წლის **25** დეკემბრამდე - ბატონი თენგიზ კიკაჩეიშვილი;
2000 წლის **25** ნოემბრიდან **2002** წლის **25** ნოემბრამდე - ბატონი ნუკრი ბაღდავაძე.





საქართველოს რესპუბლიკის დევნილი, ემიგრაციული მთავრობისა
და
„საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების“
2014 წლის 31 მარტის
ერთობლივი განცხადება-მიმართვა ქართველი ერისადმი

31 მარტი საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თარიღია!

ეს არის დღე საყოველთაო რეფერენდუმისა, რომელიც ჩატარდა საქართველოს მთლიან ტერიტორიაზე და რაც გახდა საფუძველი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტის მიღებისა;

ეს არის დღე, როდესაც საქართველოს ისტორიაში, ასევე, პირველად ჩატარდა ადგილობრივი თვითმმართველობითი ორგანოების არჩევნები;

და, ეს არის თარიღი, რომელიც დაემთხვა ზემოთჩამოთვლილი ამ უმნიშვნელოვანესი აქტების მთავარი იდეის მატარებლისა და განმახორციელებლის - საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სულისჩამდგმელისა და ლიდერის, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბატონ ზვიად გამსახურდიას დაბადებისდღეს!

დიახ, დღეს, ამავდროულად, ბატონი ზვიად გამსახურდიას დაბადებიდან 75 წლისთავია!

ყველამ კარგად უწყის, რომ ბატონი ზვიად გამსახურდია თავიდანვე დაადგა ქრისტეს ეკლიან გზას და უარყო ყველა ის საცდური რომელიც ცხოვრებამ უხვად შესთავაზა! მან კიდევ ერთხელ, წმინდა ილია მართლის შემდეგ, გამოაღვიძა ქართველი ერი და შეახსენა მათ, თუ ვისი გორისანი ვართ ქართველები! სწორედ მის პიროვნებაში განხორციელდა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეა!

ბატონი ზვიადის მოღვაწეობა დღესაც გრძელდება! იგი გრძელდება მის მიერ ჩამოყალიბებული ორგანიზაციების: „სრულიად საქართველოს წმინდა ილია მართლის საზოგადოების“, „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების“და ამ ორგანიზაციათა მიერ დაფუძვნებული საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა გაერთიანება ,,მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველოსა" და რაც მთავარია, ეროვნულ-სარწმუნოებრივი მოძრაობის იდეოლოგიით გაჟღენთილი მის ურიცხვ თანამებრძოლთა მიერ. ამ ორგანიზაციებსა და მამულიშვილთა ლაშქარს კი, ბატონი ზვიადის გარდაცვალების შემდგომ, ხელმძღვანელობს და კოორდინაციას უწევს საქართველოს რესპუბლიკის დევნილი, ემიგრაციული მთავრობა!

საბედნიეროდ, მიუხედავად მძიმე განსაცდელებისა, დევნილმა, ემიგრაციულმა მთავრობამ და კანონიერი ხელისუფლების ინსტიტუციებმა და თავად, ამ ხელისუფლების კანონიერმა წარმომადგენლობამ, მაინც შეინარჩუნა რა თავისი სტატუსი, დევნილობის პირობებში გააგრძელა მოღვაწეობა როგორც საზღვარგარეთ, ასევე საქართველოშიც.

რამდენადაც საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს, მინისტრთა კაბინეტს, ადგილობრივი თვითმართველობისა და მმართველობის ორგანოებს, მათ ხელმძღვანელ პირებსა და წარმომადგენლობას, ანუ, მთლიანობაში დევნილ კანონიერ ხელისუფლებას დღემდე არ გამოუცხადებია თვითლიკვიდაცია, არ დაუნიშნავს ახალი ლეგიტიმური არჩევნები და თავისი სამართალმემკვიდრეობა არ გადაუცია არცერთი მომდევნო ხელისუფლებისათვის;

რამდენადაც დღესაც არსებობს სამართალმემკვიდრე, კანონიერი ხელისუფლების, დევნილი ხელისუფლების ეროვნული ინსტიტუციები და კანონიერი სახელისუფლებო წარმომადგენლობა, დღესაც და იმედია უახლოეს მომავალშიც, რეალურად შესაძლებელია მისი, კანონიერი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ბაზის კანონიერი, ფაქტობრივი ამოქმედება.

კანონიერი ხელისუფლების სამართალ-მემკვიდრეობის ლეგალიზაცია და აღდგენა გარდამტეხ როლს შეასრულებს ქვეყანაში სამართლიანობისა და ამომრჩეველთა ღირსების აღდგენის, ზოგადად, საქართველოს სახელმწიფოებრივი აღორძინების თვალსაზრისითაც.

ლეგიტიმური ხელისუფლების მიერ შექმნილი კოსტიტუციური და სამართლებრივ-პოლიტიკური ბაზის ამოქმედება, არის ნამდვილი საშუალება და გასაღები საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენადაც, აფხაზეთისა და შიდა ქართლის დასაბრუნებლადაც. ის საქართველოშია, მის უდიდებულესობა ხალხშია და მის ნება-გადაწყვეტილებაშია.

ამდენად, ლეგიტიმური წყვეტის აღდგენის აუცილებელი ნიშანია, არა მხოლოდ კანონიერი არჩევნების დანიშვნა, არამედ – ლეგიტიმური სამართლებრივი ბაზის ამოქმედება საქართველოს გადასარჩენად.

აუცილებელია, მოხდეს სამართლებრივი, კანონიერი და კონსტიტუციური წესრიგის აღდგენა და შემდგომ ქვეყანამ უნდა აირჩიოს ახალი ლეგიტიმური ხელისუფლება. კანონიერმა ხელისუფლებამ, მთავრობამ უნდა დანიშნოს და ჩაატაროს არჩევნები. მხოლოდ ამ არჩვენების შედეგად მოსული ხელისუფლება იქნება სამართლებრივი, კანონიერი, ლეგიტიმური, ასევე უფლებამოსილი და ვალდებულიც, რომ იხელმძღვანელებს ლეგიტიმური, სამართლებრივი ბაზით.

უდაოა, რომ საქართველოში მხოლოდ ეროვნული ხელისუფლება შეიძლება იყოს კანონიერი და ვერავითარი ტრანსნაციონალურ-ინტერნაციონალური ხელისუფლება ლეგიტიმური ვერ იქნება და ქართველი ერის ინტერესებს ვერ მოემსახურება. ქვეყნის არსებული კრიზისული მდგომარეობიდან გამოსახსნელად კი ერთადერთი გზაა – მშვიდობიანი და სამართლებრივი გზით, ეროვნულ-სარწმუნოებრივი იდეოლოგიით საქართველოს დამოუკიდებელი ეროვნულ-სახელმწი-ფოებრივი აღდგენა-აღორძინება და განვითარება.

ისტორიის ამ ეტაპზეც კი, როცა კვლავ არსებობს და საგრძნობლად გაღრმავდა მმართველი, ფაქტობრივი რეჟიმის დელეგიტიმაციის პროცესი, საქართველოში, უახლოეს მომავალში, შესაძლოა დღის წესრიგში დადგეს სამართალმემკვიდრეობისა და კანონიერების აღდგენის რეალური აუცილებლობა და რასაც ხელს შეუწყობს იმპერიულ ცენტრებში მიმდინარე შიდა რღვევის პროცესებიც.

საქართველოს ეროვნულ-სარწმუნოებრივ მოძრაობაში ინტეგრირებულმა ძალებმა იმპერიულ ცენტრთან და მის ადგილობრივ ადმინისტრაციასთან ბრძოლის თავისებური, ფრთხილი სინთეზური ტაქტიკა უნდა აირჩიოს ბრძოლის ორიენტირად. ამ ტაქტიკაში კი, ერთმანეთს უნდა შეერწყას, როგორც სამოქალაქო და ეროვნული დაუმორჩილებლობის კურსი, ისე წმინდა პოლიტიკურ-პრაგმატული თვალსაზრისით აუცილებელი მოლაპარაკებებისა და იძულებითი კონტაქტების (მაგრამ არა კაპიტულაციებისა და კომპრომისების) კურსი, რის საფუძველზეც რეჟიმის მიერ თავისივე განვლილი პერიოდის უკანონობა უნდა დაფიქსირდეს თავიანთივე გადაწყვეტილებით. შემდგომ კი ერთობლივი შეთანხმებით, უშუალოდ კანონიერი ხელისუფლების აღდგენითა და მის მიერ უნდა დაინიშნოს საყოველთაო, ლეგიტიმური, მრავალპარტიული, დემოკრატიული და თავისუფალი არჩევნები.

ცხადი და სასურველია, რომ ამას ხელი უნდა შეუწყოს საერთაშორისო დონეზე გლობალურმა პროცესებმაც, რისი იურიდიულ ბაზა საჭიროებისამებრ უნდა შეიქმნას საერთაშორისო ნორმების გათვალისწინებით სპეციალური დეკლარაციით, რითაც ბოლო მოეღება ე. წ. თალასოკრატიული იმპერიების არსებობას. ამ იმპერიების ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივ სტრუქტურას მეტროპოლია-კოლონიის სუბორდინაციის სისტემაზე აგებული იურიდიული ხასიათი უნდა ჰქონდეს.

საქართველოს ეროვნულ–სარწმუნოებრივმა მოძრაობამ უნდა განმარტოს დღემდე არსებული მცდარი, უიმედო ტაქტიკური ჩავარდნები და რეალურად ეროვნული, ლეგიტიმური სტრუქტურების კოორდინაციის გზით უნდა უნდა აიღოს პოლიტიკური ინიციატივა ეროვნული იდეისა და ლეგიტიმიზაციის ფაზის განხორციელებისათვის,

კიდევ ერთი ფუძემდებლური მომენტი: ქართული მართლმადიდებელი ეკლესია აუცილებლად უნდა დადგეს ერის, სამართალმემკვიდრეობისა და კანონიერი ხელისუფლების გვერდით. მან მთელი თავისი სულიერ-ზნეობრივი ძლიერებით უშუალო მონაწილეობა უნდა მიიღოს საერთო-ეროვნული აღორძინების პროცესში, რითაც უნდა გამოიკვეთოს ჩვენს ეპოქაში შექმნილი სულიერი ვაკუუმის ქრისტიანული რწმენით შევსების ტენდენცია.

ცხადია, თუ ჩვენ ერთ მთლიანობაში გავიაზრებთ ისტორიულ, ეროვნულ და მართლმადიდებლურ–ქრისტიანულ ტრადიციებს, მხოლოდ მაშინ აღმოვაჩენთ ეროვნული ღირებულებების ჭეშმარიტ ფასეულობათა სამართლებრივ სისტემას.

საქართველოს ეროვნულ–სარწმუნოებრივი მოძრაობის შინაგანი დინამიკა უნდა იყოს ე. წ. ,,ახალი მსოფლიო წესრიგის" არქიტექტონიკაში კავკასიის გეოპოლიტიკური სივრცისა და მისი ღერძული სახელმწიფოს – საქართველოს სუვერენობის საკითხის უცილობელი ჩასმა და აღდგენა და იმ ბარბაროსული კოსმოპოლიტური ოკეანედან გამოსვლა, სადაც პოსტინდუსტრიული ცივილიზაციის გენეზისის ეპოქაში ქართული ეროვნულობა შთაინთქა იმპერიალისტური ძალების დროებითი გარიგებებით.

უნდა გვახსოვდეს ასევე, რომ მთავარი არგუმენტი და უმოკლესი გზა მთელი კავკასიის რეკოლონიზაციისაკენ, დამოუკიდებელი და თავისუფალი კავკასიის, როგორც მსოფლიო ახალი რეგიონის ჩამოყალიბებისაკენ, საქართველოს სამართლებრივ და კანონიერ დამოუკიდებლობასა და თავისუფლებაზე გადის.

ჩვენ ჩვენი ვიმეცადინოთ, ჩვენი ქვეყნისათვის ვიზრუნოთ, მისი მდგომარეობა ვაუმჯობესოთ, და მაშინ, თუ კი ვინმე მოინდომებს ჩვენს დახმარებას და ხელის მომართვას, ხომ უკეთესი და თუ არადა, ის ჩვენი ნაშრომი და შენაძენი ხომ ხელიდან მაინც არ წაგვივა და ისევ ჩვენ დაგვრჩება.

ამასთანავე, კიდევ ერთხელ ვაცხადებთ: მათ, ვინც გაითავისებს კანონიერი ხელისუფლების აღდგენის მოთხოვნას, აუცილებლად მიეცემა ტრიბუნა, 31 მარტის – თავისუფლების ტრიბუნა და შანსი, იმ მამულიშვილებთან ერთად, ვისთვისაც თავისუფალი საქართველოს იდეა პირველადია და შეუცვლელი, გვერდი-გვერდ დგომითა და ბრძოლით მიაღწიონ სანუკვარი თავისუფლების იდეის რეალიზაციას!

საქართველოს ლეგიტიმური, დევნილი ემიგრაციული მთავრობა და მისი კანონიერი ეროვნული ინსტიტუციები ქართველ ერს ჰპირდება თავისუფლებას!

ღმერთმა დალოცოს ქართველობა!

გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს!



საქართველოს რესპუბლიკის დევნილი, ემიგრაციული მთავრობისა
და
„საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების“
2014 წლის 9 აპრილის
ერთობლივი განცხადება-მიმართვა ქართველი ერისადმი

საქართველოში, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ბრძოლამ დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის 1989 წლის 9 აპრილის ღამეს ზენიტს მიაღწია და ამ ბრძოლის პირველი ეტაპი დაგვირგვინდა 1991 წლის 9 აპრილს, საქართველოს მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობის გადაწყვეტილებით, რეფერენდუმის შედეგების შესაბამისად, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ, 1918 წლის დამოუკიდებლობის აქტის სამართალმემკვიდრეობით, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადებით. მანამდე კი, 1990 წლის 28 ოქტომბერს, მრავალპარტიულ, არასაბჭოთა, საყოველთაო, დემოკრატიულ არჩევნებში გაიმარჯვა ეროვნულმა ხელისუფლებამ, რომელმაც 1991 წლის 31 მარტს ჩაატარა კიდეც საყოველთაო რეფერენდუმი სამართალმემკვიდრეობით განსაზღვრული საქართველოს სახელმწიფოებრივი სტატუსის შესახებ – საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა 1918 წლის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე.

1991 წლის 9 აპრილს საქართველოში აღსდგა არა მხოლოდ ჩვენი სახელმწიფოს დამოუკიდებლობა, არამედ – 1918-21 წლების კანონიერი ხელისუფლების სამართალმემკვიდრეობაც.

შესაბამისად, 9 აპრილი არის გმირული ბრძოლისა და ამ ბრძოლაში გამარჯვების დღე.

სამწუხაროდ, დღეს არსებული ძალაუფლების მქონე ფაქტობრივი სისტემები სულ უფრო მეტად გაუკუღმართებული „წვრთნის" ფუნქციით შემოიზღუდებიან, აკნინებენ ეროვნული გამარჯვების დღეთა მნიშვნელობებს და იმთავითვე უნერგავენ ახალგაზრდობას ნიჰილიზმს, ავტორიტეტისა და თაყვანისმცემლობის უარყოფას, რომ არ არსებობს რაიმე უნივერსალური, საყოველთაო და, მით უმეტეს, ღვთიური დოგმები, წესები და წესრიგი, ანუ, სრულებით ისპობა ღვთიურ სინათლესთან სულიერი ზიარების სისტემა. უფლისადმი სულიერ დამონებას, მორჩილებასა და თაყვანისცემას მასობრივად ცვლის კერპთაყვანისმცემლური მისწრაფება მატერიალური ღირებულებების, ფულის, დოვლათისა და სიმდიდრისადმი.

აქედან გამომდინარე, დღესაც, „დგას დილემა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ერთის მხრივ მოქალაქეობრივი თავგანწირვა, ნიადაგ სინდისის კარნახით მოქმედება, სულიერი იდეალების პირველ პლანზე დაყენება, ხოლო მეორეს მხრივ, ფილისტერული, თვითკმაყოფილი ფსევდოპრაგმატიზმი, სინდისის ხმის ჩახშობა საკუთარ სულში, თვალის დახუჭვა ყოველგვარ უმსგავსოებაზე, რომელსაც სჩადის ესა თუ ის საზოგადოებრივი წყობა, თუ ცალკეული ადამიანი. . .

. . . დღევანდელი ადამიანისთვის მთავარია, რომ მან შეიგნოს დილემის არსი, დილემისა, რომელიც თავად განგებამ წამოუყენა. . .

. . . სიმართლისათვის თავდადებამ კი არ შეიძლება არ მიგვიყვანოს სიმართლისა და სიკეთის წყარომდე – ღმერთამდე. . ." (ზვიად გამსახურდია, „დილემა კაცობრიობის წინაშე)".

ასეთ ვითარებაში, აუცილებელია, კიდევ ერთხელ გამახვილდეს მამულიშვილთა ყურადღება, ქართული ეროვნული იდეოლოგიისა და მოძრაობის, ეროვნული ცნობიერების დაცვის, აპოლოგიის აუცილებლობაზე.

დროა კვლავ დავეპატრონოთ, მაღლა ავსწიოთ, ავიტაცოთ ეროვნულ-სარწმუნოებრივი ცნობიერების მამულიშვილთა სისხლით შეღებილი კეთილშობილი დროშა და ეროვნულ-სარწმუნოებრივი ცნობიერებით გავაგრძელოთ „მამულისა ჩვეულებისამებრ სლვაჲ" ერის ხსნის გზაზე.

ახლებური კონცეპტუალური მიდგომის ერთ-ერთი აუცილებელი გამოვლენაა, საჭიროებისამებრ, ეროვნული მოძრაობის მეტ-ნაკლებად ოპტიმალური სქემების ფორმირება, განსაზღვრა იმისა, თუ რა შეიძლება ავირჩიოთ ბრძოლის ძირითად კრიტერიუმებად, სადაც ძირითად ორიენტირს, უცილობლად, უნდა წარმოადგენდეს ქართული ეროვნულ-სარწმუნოებრივი იდეა. სწორედ, ამ იდეის მატარებელი ადამიანები, თუ სოციალური ჯგუფები, უნდა წარმოადგენდნენ საქართველოს ეროვნულ–სარწმუნოებრივი მოძრაობის სუბიექტს. ეს სუბიექტი, კი, ცხადია, ყოველთვის იყო გარკვეული ერთობა, გარკვეული ეროვნული მოთხოვნილებებისა და ინტერესების მქონე ადამიანთა აპოლიტიკური დასი. ამასთან, ეს კოლექტიური და იერარქიზებული სუბიექტი, არსებული კრიზისული სიტუაციების პერიოდული ცვალებადობის კვალად, თვითონაც იცვლებოდა რაოდენობრივადაც და ხარისხითაც, განიცდიდა ევოლუციას.

სწორედ ამ ევოლუციის ცალკეული ფაზების კონტექსტშია მიზანშეწონილი ეროვნულ–განმათავისუფლებელი მოძრაობიდან ეროვნულ-სარწმუნოებრივი მოძრაობის უფრო მაღალ საფეხურებზე ეტაპობრივი დიფერენციაცია და გადასვლა, მითუმეტეს, თუ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, თავისი შინაგანი არსით ეროვნულ-რელიგიური მოძრაობა იყო ოდითგან და იგი არასოდეს არ გულისხმობდა მხოლოდ ეროვნულ-პოლიტიკური მიზნების განხორციელებას, არამედ უპირველეს ყოვლისა ყოველთვის ითვალისწინებდა ზნეობრივ აღორძინებას ქრისტიანულ რწმენასა და ცნობიერებაზე დამყარებით.

ეროვნულ-სარწმუნოებრივი მოძრაობის სუბიექტის შინაგანი დინამიკაა სწორედ ამ უაღრესად ღირებული და

პროგრესული პოლიტიკური პროცესის პერიოდიზაციის განმსაზღვრელი ფაქტორი და მისი იმანენტური თვისობრიობისა და ორგანიზაციის ფორმების პოლიტოლოგიური ანალიზისათვის მეცნიერული ბერკეტი.

უნდა გვახსოვდეს, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივი აღორძინება, მისი დამოუკიდებლობის აღდგენა ვერ მოხერხდება ქართველთათვის ნიშნეული ცხოველი მორწმუნეობის აღორძინების გარეშე, ზნეობრივი აღორძინების გარეშე – ამას ადასტურებს საქართველოს წარსულიცა და აწმყოც.

სწორედ ამიტომ, ჭეშმარიტად ქართული ეროვნული მოძრაობა მჭიდროდ იყო და არის დაკავშირებული რელიგიურ ცნობიერებასთან, ეკლესიის წიაღთან.

შესაძლოა, ისტორიის ამ მონაკვეთზეც, როცა კვლავ არსებობს და საგრძნობლად გაღრმავდა მმართველი რეჟიმის დელეგიტიმაციის პროცესი, სახელისუფლო თუ ოპოზიციური სტრუქტურებისა და ფრთების პოლიტიკური პოტენციიის გამოფიტვისა და მათი მზარდი დეზორიენტაციის პარალელურად, სულ უფრო გაიზრდება ეროვნული–სარწმუნოებრივი მოძრაობის ავტორიტეტი და პოლიტიკური რესურსები.

ამ ახალ ეტაპზე საქართველოს ეროვნულ-სარწმუნოებრივი მოძრაობის თავისებურებები ისაა, რომ იგი ამიერიდან სათავეში უნდა ჩაუდგეს ბრძოლას დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისაკენ ბრძოლაში, რამდენადაც მას ენიჭება დუალისტური ფუნქცია – ის, თავის კანონიერ, დევნილ, ემიგრაციულ მთავრობასთან ერთად და მის სამართლებრივ სტრუქტურებთან (ინსტიტუციებთან) ერთად, წარმოადგენს, როგორც ლეგიტიმურ ხელისუფლებას, ასევე ეროვნული მოძრაობის წარმმართველ ცენტრსაც, ეროვნული დაუმორჩილებლობის მთავარ იურიდიულ ინსტიტუტს.

ასევე, აღსანიშნავია, რომ, თუ ჩვენ ერთ მთლიანობაში გავიაზრებთ ისტორიულ, ეროვნულ და მართლმადიდებელ–ქრისტიანულ ტრადიციებს, მხოლოდ მაშინ აღმოვაჩენთ ეროვნული ფასეულობების, ანუ ჭეშმარიტ ფასეულობათა სამართლებრივ სისტემას.

ღვთის იმედად ყოფნა აუცილებელია, მაგრამ არც ჩვენ არ უნდა ჩამოვუშვათ ხელები.

საქართველომაც პირუთვნელად უნდა აღასრულოს თავისი სულიერი მისია კაცობრიობის წინაშე.

დღესაც, ბრძოლით ხელახლა უნდა მოვიპოვოთ თავისუფლებაცა და კეთილდღეობაც.

ბრძოლის გარეშე კი, ვერავინ ვერაფერს მოიპოვებს.

საქართველოს იხსნიან მისი საუკეთესო შვილები, თავდადებული და თავგანწირული შვილები.

საქართველოს იხსნის მისი ეროვნულ-სარწმუნოებრივი მოძრაობა.

ღმერთმა დალოცოს ქართველობა!

გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს!

ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი!



საქართველოს რესპუბლიკის დევნილი, ემიგრაციული მთავრობისა
და
„საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების“
2014 წლის 26 მაისის
ერთობლივი დადგენილება

1991-1993 წლების სახელმწიფო გადატრიალებისა და დღემდე შემდგომი პერიოდის სამართლებრივი, იურიდიულ-პოლიტიკური შეფასების შესახებ

2014 წლის 26 მაისის საქართველოს დევნილი, ემიგრაციული მთავრობისა და „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების“ ერთობლივ სხდომაზე მიღებულ იქნა დადგენილება 1991-1993 წლების სახელმწიფო გადატრიალებისა და დღემდე შემდგომი პერიოდის სამართლებრივი, იურიდიულ-პოლიტიკური შეფასების შესახებ:

1. ერთობლივი დადგენილების საფუძვლად ცნობილ იქნას 1992 წლის 13 მარტის საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება, რომლის თანახმადაც:

   ა) 1991 წლის დეკემბრისა და 1992 წლის იანვრის მოვლენები, რომლებიც მოხდა საქართველოში, კვალიფიცირებულ იქნეს, როგორც სახელმწიფო გადატრიალება;

   ბ) არაკანონიერი ხელისუფლების სტრუქტურების - „სამხედრო საბჭოს" და ა. შ. შექმნა კვალიფიცირებულ იქნეს, როგორც ხელისუფლების უზურპაცია;

   გ) ყველა აქტი, რომელიც მიღებულია საქართველოს არაკანონიერი ხელისუფლების მიერ, მათ შორის, პარლამენტის არჩევნების დანიშვნის აქტი, გამოცხადდეს იურიდიული ძალის არმქონედ;

   დ) სახელმწიფო გადატრიალების ორგანიზატორების მოქმედება კვალიფიცირებულ იქნეს, როგორც სამშობლოს ღალატი;

   ე) საქართველოს მოსახლეობას მოვუწოდებთ უკანონო ხელისუფლების დაუმორჩილებლობას.

2. გაფართოვდეს სახელმწიფო გადატრიალების დროითი არეალის განსაზღვრა და სამართლებრივად, პოლიტიკურად და იურიდიულად კვალიფიცირებულ იქნას იგი, როგორც 1991-1993 წლების სახელმწიფო გადატრიალება. ასევე, სახელმწიფო გადატრიალებიდან გამომდინარე დღემდე განვითარებული შემდგომი პროცესები, როგორიცაა სახელმწიფო გადატრიალების შედეგად სახელმწიფო მმართველობაში ძალადობის გზით მოსული არაკანონიერი ხელისუფლების სტრუქტურების - „სამხედრო საბჭოს", „სახელმწიფო საბჭოსა და შემდგომ არალიგიტიმური არჩევნებით მოსული საკანონმდებლო, ასევე აღმასრულებელი, სასამართლო სახელისუფლო შტოთა და არაკანონიერად არჩეული და დანიშნული თვითმმართველობით ორგანოების შექმნა კვალიფიცირებულ იქნეს, როგორც ხელისუფლების უზურპაცია და სახელმწიფოებრივად დანაშაულებრივი აქტები, რათა მომავალში გამორიცხული იქნას ამ გზით ხელისუფლების შეცვლა.

ასევე, საყოველთაოდ აღიარებულ უნდა იქნას, რომ საქართველოში, შინაგანმა და გარეგანმა ანტიეროვნულმა და ანტისახელმწიფოებრივმა ძალებმა, რუსეთის სახელისუფლებო წრეების წარმომადგენლების უშუალო ხელმძღვანელობითა და დასავლეთის ქვეყანათა ჩუმი თანხმობითა და მხარდაჭერით მოაწყვეს შეთქმულება, აგრესია და განახორციელეს პუტჩი. 1991 წლის შუა წელიდან მოყოლებული, 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის, ცნობილი, სისხლიანი პუტჩით გაგრძელებული მოვლენებით, რომლის შედეგადაც 1992 წლის დამდეგს განდევნილი ეროვნული მთავრობა იძულებული გახდა დაეტოვებინა დედაქალაქი თბილისი (სადაც გრძელდებოდა მისი მხარდამჭერების მასსობრივი უმმაფრესი საპროტესტო მოძრაობა) და ბრძოლა განეგრძო უმთავრესად ჯერ დასავლეთ საქართველოში, შემდგომ მთელს ქვეყანაში, რაც, 1993 წლის შუახანებში, გადაიზარდა ეროვნული, ლეგიტიმური ხელისუფლების კონსტიტუციური წესრიგის აღდგენის მასობრივ, ძირითადად მშვიდობიან, შეუიარაღებელ მოძრაობაში. მაგრამ, სსრკ–ის სამართალმემკვიდრე რუსეთისა და ე. წ. „დასავლეთის" საქართველოს შინაურ საქმეებში უხეში ჩარევით, ამ მოვლენათა კულმინაცია გახდა მასშტაბური ერთობლივი შეიარაღებული ინტერვენცია დასავლეთ საქართველოში. საბოლოოდ კი, ეს პროცესი შეწყდა მას შემდეგ, რაც საინტერვენციო ძალების შეტევის შედეგად საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი - ზვიად გამსახურდია თავის პოსტზე თავგანწირულად დაიღუპა, ხოლო ეროვნული, ლეგიტიმური მთავრობა იძულებული გახდა დევნილობაში წასულიყო;

3. 1991-1993 წლების შეიარაღებულმა სამხედრო-კრიმინალურმა, სახელმწიფო გადატრიალებამ საფუძველი დაუდო ტოტალურ უკანონობას, ქვეყნის დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფას, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა მასობრივ დარღვევებს, დაამკვიდრა რა ძალმომრეობის კულტი, მოსახლეობის ნაწილში დაამდაბლა სამართალშეგნება, ან სულაც უარი ათქმევინა მას კანონის უზენაესობის პრინციპზე. ამან კი თავისთავად დააბრკოლა საქართველოში სამართლიანობის, დემოკრატიისა და თავისუფლების განმტკიცება, ქართული დამოუკიდებელი სახელმწიფოს გაძლიერება და, ამასთან, ქვეყნის საკაცობრიო განვითარებაც. ცხადია, შექმნილმა ვითარებამ განსაზღვრა თავისუფლებისა და დემოკრატიის საფუძვლად ძალადობის მიჩნევა, რამაც მრავალ უკიდურესობას მისცა გასაქანი.

უდაოა, სწორედ, რომ 1991-93 წლების შეიარაღებული, სისხლიანი, სახელმწიფო, სამხედრო გადატრიალების

გზით დაამხეს საქართველოს რესპუბლიკის კანონიერი ეროვნული, სახალხო ხელისუფლების ყველა შტო და შესაძლებლობა მოუსპეს კანონიერ ხელისუფლებას ეწარმოებინა აქტიური პოლიტიკა სახელმწიფოებრიობის აღორძინებისა და განვითარების მიმართულებით, დაამკვიდრეს ანტიქართული და ანტისახალხო კრიმინალური, ნომენკლატურული რეჟიმი.

ძალადობის გზით მოსულმა ხუნტის ხელისუფლებამ, ასევე უკანონოდ, რუსეთის საოკუპაციო ჯარს მიანიჭა მეგობარი ქვეყნის ჯარის სტატუსი და გამოაცხადა საქართველოს შეყვანა რუსეთის ნეოიმპერიაში – დსთ-ში.

ასევე, აღსანიშნავია, რომ 1992-2014 წლებში უკანონო რეჟიმების მიერ დაიდო საქართველოსათვის წამგებიანი ბევრი ხელშეკრულება. საქართველოს სახელმწიფოს სახელით მილიარდობით სესხი აიღეს ხელისუფლებაში უკანონო გზით მოსულმა კრიმინალურმა კლანებმა. არაკანონიერი ხელისუფლების მიერ უცხოური ბანკებიდან ნასესხები თანხა გამოყენებულ იქნა კრიმინალთა კერძო ინტერესების შესაბამისად, არადა, მათი გადახდის ვალდებულება დაკისრებულია საქართველოს სახელმწიფოსათვის.

ამრიგად, ყველა აქტი, რომელიც მიღებულია 1992-2014 წლებში საქართველოს არაკანონიერი ხელისუფლებათა მიერ, მათ შორის, არალეგიტიმური საკანონმდებლო (პარლამენტების), აღმასრულებელი, თუ ადგილობრივი თვითმმართველობითი ორგანოების არჩევითი, თუ დანიშვნითი და სხვადასხვა, სახელმწიფოსათვის მავნე აქტები, გამოცხადდეს იურიდიული ძალის არმქონედ.

ამიტომაც, საქართველომ, სხვა მნიშვნელოვან პრობლემათა შორის, უნდა გადაჭრას უპირველესი პრობლემა: უნდა აღსდგეს და მოწესრიგდეს საქართველოს სახელმწიფოებრივი კანონიერების, სამართალმემკვიდრეობისა და ტერიტორიული მთლიანობის სამართლებრივი საფუძველი, რაც ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ მოწყობასა და, მასთან ერთად, ქვეყნის ხელისუფლების შიდა ადმინისტრაციულ ერთეულებთან ურთიერთობებს დაარეგულირებს.

ამრიგად, დემოკრატიის პრინციპების შესაბამისად, გადასინჯულ იქნას ყველა ის კანონი, რომელმაც განსაზღვრული დაბრკოლებები შექმნა დამოუკიდებელი საქართველოს განვითარების სფეროებში. უნდა შემუშავდეს, მომზადდეს და სამომავლოდ, რეფერენდუმის გზით, მიღებულ იქნას ახალი ეროვნული კონსტიტუცია და სამართლებრივი აქტები, სადაც ასევე აღნიშნული იქნება სახელისუფლო კანონიერებისა და მისი სამართლებრივი უწყვეტობის საკითხი, რითაც ერთხელ და სამუდამოდ უნდა გადაიჭრას ქვეყნის სამართლებრივი, პოლიტიკური და იურიდიული მოწყობის სამართლიანობისა და კანონის უზენაესობის საკითხი;

4. 1991-93 წლების სახელმწიფო გადატრიალების ორგანიზატორებმა და მხარდამჭერებმა, და შემდგომმა უკანონო მთავრობებმა, 1993 წლის მიწურულიდან ძალაუფლება მთელ საქართველოში ჩაიგდეს ხელთ. ანტიქართულმა, ანტიეროვნულმა ძალებმა, რომლებიც არსებითად დამპყრობლებად მოგვევლინენ, უმკაცრესი ზომებით, მასობრივი რეპრესიებით დათრგუნეს საერთოსახალხო ეროვნული მოძრაობა, ეროვნული მოძრაობის ორგანიზაციები. 1992 წლიდან მოყოლებული, საქართველოს დამპყრობლურმა, ანტიეროვნულმა რეჟიმებმა არაერთი არალეგიტიმური საერთაშორისო აქტებით არსებითად დაამკვიდრეს საქართველოს გაყოფა რუსეთისა და დასავლეთის გავლენის სფეროებად. საქართველოში მძაფრდება და ღრმავდება ინსპირირებული დემოგრაფიული კატასტროფა, ეკონომიკური დამონება, მთელი ქართველი ერის პროლეტარიზება, კულტურული დეგრადაცია.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო გადატრიალებამ, პუტჩისტთა და მათ მემკვიდრეთა უკანონო გადაწყვეტილებებმა, საქართველოს რესპუბლიკის სამართლებრივი კონსტიტუციის შეჩერებამ, საქართველოს ტერიტორიულ დანაწევრების მიმართულებით, ასევე, გზა მისცა, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ძირითადი სამართლებრივი ბაზის გამოსაცლელად. 1991-93 წლების სახელმწიფო გადატრიალებამ თავიდანვე დაარღვია სახელმწიფოებრივად მოწესრიგებული მდგომარეობა, გააუქმა და არარსებული გახადა კანონი, რომელიც არეგულირებდა დამოკიდებულობას საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასა და აფხაზეთისა და პუტჩისტთა მიერ შემოღებული ტერმინოლოგიით დამკვიდრებული, უკანონო, ე. წ. „სამხრეთ ოსეთის" ე. წ. ხელისუფლებას შორის, რისი ერთ-ერთი ძირითადი შედეგიც არის ის, რომ სეპარატისტული ხელისუფლებების ჩამოყალიბებით, საფუძველი დაედო საქართველოს ტერიტორიის სამართლებრივ დანაწევრებას, რასაც მოჰყვა 1992-1993 წლების, აფხაზეთისა და შიდა ქართლისა და ასევე, 2008 წლის აგვისტოს, „დასავლეთის" წაყრუებით, ჩუმი მხარდაჭერითა და ინერტულობით, რუსეთ-საქართველოს ომით გამოწვეული ტერიტორიების შემდგომი ფაქტობრივი დაკარგვა და მსოფლიო ცივილიზებული ქვეყნების აზრის საწინააღმდეგოდ რუსეთის მიერ ცალმხრივად აფხაზეთისა და ე. წ. „სამხრეთ ოსეთის" „რესპუბლიკების" დამოუკიდებლობის ცნობა.

საგანგებოდ აღსანიშნავია, რომ არალეგიტიმური ხელისუფლების რეორგანიზების დაწყებიდან დღემდე:

ა) ფაქტობრივმა ძალაუფლების მქონე მმართველობამ და მათ უკან მდგარმა ძალებმა ცალსახად არ განაცხადეს მათი დამოკიდებულება 1991-92 წლების პუტჩისა და შემდგომ – 1993 წელს რუსეთის არმიის ინტერვენციის გზით კანონიერი ხელისუფლების ხელახალი განდევნის გამო;

ბ) მათ არ მიიღეს არავითარი ზომები პოლიტპატიმრების, პოლიტრეპრესირებულთა და პოლიტიკური დევნილების დაუყოვნებლივი სრული რეაბილიტაციისათვის;

გ) არ დაწყებულა რეჟიმის მიერ ჩადენილ დანაშაულებათა რაიმე გამოძიება ან შესწავლა;

დ) 1992 წლიდან დღემდე, ფაქტობრივმა რეჟიმმა გააყალბა, მათ მიერ ისედაც უკანონოდ დანიშნული, საპრეზიდენტო, საპარლამენტო და ადგილობრივი თვითმმართველობითი არჩევნები;

ე) მიიტაცა აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლება;

ვ) ქვეყანაში მოჰკლა პოლიტიკური პროცესი და ოპონენტებს დაუტოვა მხოლოდ ქუჩის პოლიტიკის არეალი, ციხეები გაავსო პოლიტპატიმრებით, დაიმორჩილა მედიის დიდი ნაწილი და აწარმოებს საზოგადოების ცნობიერებაზე მავნე ზემოქმედებას;

ზ) ეკონომიკის „პრიორიტეტად" აქცია წართმევა, სოციალური დაცვის პოლიტიკა შემოფარგლა უკანონოდ დევნილთა ბანაკების მშენებლობით, გააღატაკა მოსახლეობა, მიზანმიმართულად გაანადგურა პროფესიონალი კადრები, სამარცხვინოდ დაკარგა სამაჩაბლო და აფხაზეთი.

თ) დღემდე არსებული, არალეგიტიმური საქართველოს ფაქტობრივი ხელისუფლებები პირადი ანგარების მიზნით ნერგავენ ქართველთა შორის ცრუ იმედებს, დეზინფორმაციას და ამით უსინდისოდ მანიპულირებენ ხალხის აზრით. პარალელურად მიმდინარეობს ყველაფერ ეროვნულზე სასტიკი შეტევა და ყოველგვარი ეროვნული ფასეულობის განადგურება, ხდებოდა და ხდება ეროვნული დოვლათისა და სიმდიდრის არნახული დატაცება-პრივატიზება მმართველი კასტის მიერ. ქართველობა „ერი-პროლეტარი" გახდა, ხოლო მთელ მწარმოებლურ კაპიტალს უცხოელები დააპატრონეს, საშუალო ფენა კი პრაქტიკულად აკვანშივე ჩაკლეს;

ი) საქართველოში მოშლილია პოლიტიკური პერსპექტივებისა და პროცესების დემოკრატიული, საზოგადოებრივი ანალიზისა და თავისუფალ პაექრობაში საუკეთესო გზების მოძიების მექანიზმი იმ პირობებში, როდესაც მასმედიის მთელი სიმძლავრეები მმართველი კასტის პროპაგანდისტული მანქანის როლს ასრულებს, პრაქტიკულად დამყარებულია ტოტალიტარული დიქტატურის სისტემა;

კ) დასავლეთი, რომელსაც საკუთარი ანგარებითი ინტერესები გააჩნია რუსეთის მიმართ, ბოროტად იყენებს რა ქართველობის ბუნებრივ მისწრაფებას, დაიბრუნოს გაყიდული აფხაზეთი და სამაჩაბლო, აიძულებს საქართველოს უკიდურესობამდე და სერიოზული დადებითი პერსპექტივის გარეშე გაამწვავოს ურთიერთობა რუსეთთან. ამავე დროს, თვალნათლივ გამოჩნდა, რომ დასავლეთს არ აქვს რაიმე დასტური ან შეთანხმება რუსეთის მხრივ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს საქართველოს პოლიტიკურ სივრცეში კვლავ რეალური გაერთიანების შესახებ (გარდა ლიტონი დეკლარაციებისა, რომ ცნობენ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას) და საქართველოს ყოველგვარი რეალური გარანტიების გარეშე უბიძგებს რუსეთს ხისტად, მწვავედ, სარისკოდ დაუპირისპირდეს;

ლ) ევროკავშირსა და „ნატოში" გაურკვეველ მომავალში და სათუო, ცრუ გაწევრიანების პერსპექტივებით, ისტერიული პოლიტიკური სპეკულაციების შედეგად, რეალურად და ამჟამადაც საქართველოს აქვს ამ სპეკულაციებით პროვოცირებული რუსეთული სადამსჯელო-დრაკონული მეთოდების გამოყენება საქართველოს მიმართ, არსებითად სრული ბლოკადა, ქართველობის რუსეთიდან დეპორტაცია, შესაბამისად, საქართველოს მოსახლეობისათვის და ეკონომიკისათვის ხელოვნურად პროვოცირებული სირთულეები;

„ნატოში" ვითომდა გაწევრიანების პერსპექტივებზე საუბრობდა, ჯერ კიდევ 1991 წელს, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, რომლის პასუხი კორესპონდენტის კითხვაზე - „ამბობენ, რომ საქართველო ნატოში შესვლას აპირებსო. მართალია ეს?", პასუხობს - „ეს სასაცილოა". პუტჩისტთა სამართალმემკვიდრენი არიან დღემდე არსებული ფაქტობრივი ხელისუფალნიც, რომელნიც იძულებულნი იყვნენ, სრულად თუ არა, ნაწილობრივ მაინც, ეღიარებინათ 1991-1993 წლებში მომხდარი შეიარაღებული სახელმწიფო გადატრიალება: „საქართველოს პარლამენტის" 2000 წლის 20 აპრილის დადგენილებით, შეფასებულია, როგორც კანონიერი ხელისუფლების დამხობა და სამოქალაქო კონფრონტაცია, ეს იყო კომუნისტურ-ნომენკლატურული რევანში, ხოლო 2004 წლის 11 მარტის „საქართველოს პარლამენტის" დადგენილებით არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი: „საქართველოს პარლამენტი კვლავ ადასტურებს 1990 წლის 28 ოქტომბერს არჩეული საქართველოს უზენაესი საბჭოსა და 1991 წლის 26 მაისს არჩეული საქართველოს პრეზიდენტის, აგრეთვე მათდამი დაქვემდებარებული სრუქტურების (შეიარაღებული ძალების ჩათვლით) და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების ლეგიტიმურობას სათანადო კანონმდებლობით დადგენილ ვადებში. დაიგმოს 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის ანტიკონსტიტუციური შეიარაღებული სახელმწიფო გადატრიალება".

უშედეგოდ დამთავრდა და მთავრდება ყოველი მათი არათანმიმდევრული ცდა ეროვნული შერიგებისა და თანხმობის ნიშნით შენიღბვისა – ეროვნული თანხმობის დეკლარაციებისა და სხვადასხვა პოლიტიკური მაქინაციების სახით. ყველა უბედურება, რაც საქართველოს დაატყდა თავს 1992 წლიდან, ლეგიტიმურობის დარღვევითაა გამოწვეული და დღესაც, მავანთ, არ სურთ და არ ძალუძთ ლეგიტიმურობაზე დაბრუნება.

ყველაფერ ამაზე პასუხისმგებლობა კი, ეკისრებათ იმათაც, ვისაც, ეხლაც, კვლავ „საერთო-სახალხო ჯანყითა", თუ ე. წ. „კოჰაბიტაციური" მოჩვენებითი პოლიტიკური გზებით სურთ ისარგებლონ და სახელმწიფო ხელისუფლებაზე აცხადებს პრეტენზიებს, ვინც რეჟიმთან კოლაბორაციონისტობდა და ლეგიტიმიზების მორიგ მცდელობაშია არალეგიტიმური საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების გზით;

შედეგად, სახელმწიფო გადატრიალების ორგანიზატორების, მხარდამჭერებისა და შემდგომ, უკანონო მთავრობების, ანტიქართული, ანტიეროვნული ანტისახელმწიფოებრივი ძალების მოქმედება კვალიფიცირებულ იქნეს, როგორც სამშობლოს ღალატი;

5. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ტრადიციული ანუ რელიგიაზე, სარწმუნოებაზე, შესაბამისად, ზნეობასა და სულიერებაზე დაფუძნებული სახელმწიფოები ოდითგანვე იმართებოდა სიტყვის ავტორიტეტზე, თაყვანისცემაზე დაყდნობით. ანუ ხალხს აერთიანებდა სიტყვა და არა მატერიალური რამ.

არსებითწილად სახელმწიფოების წარმოქმნა და განსახელმწიფოებრივებული ხალხების არსებობისა და ორგანიზაციის საყოველთაო წესად, ხერხად და მეთოდად გადაქცევა უმჭიდროესადაა დაკავშირებული „სახელმწიფო რელიგიაზე", „სახელმწიფო სარწმუნოებაზე", „სახელმწიფო სიტყვაზე", ანუ ისევ და ისევ სიტყვის (არამატერიალურის) ავტორიტეტსა და თაყვანისცემაზე დაფუძნებულ სისტემაზე.

უფალთან დაახლოებამ ყოველ ცალკეულ ადამიანს, ცოდვათა მიტევების, სამუდამო სასუფევლის, უფლის მადლის მოპოვების საშუალება მისცა, რათა გათითოკაცებული ადამიანები კვლავ და უფრო ძლიერად გაერთიანებულიყვნენ ღვთის სიყვარულში და ურთიერთისადმი ღვთიურ სიყვარულში. ამდენად გათითოკაცებული ადამიანების გაერთიანების საფუძველი გახდა უფლის ავტორიტეტი და თაყვანისცემა. მართალი და

შეურყვნელი ღვთიური სიტყვა კი, პირველ რიგში, მოციქულთა და წმინდა ღვთისმეტყველთა საშუალებით მიჰქონდათ მიწიერ და ცოდვილ ადამიანებთან. მართალია, დროდადრო ქრისტიანული ქვეყნები ყოველმხრივ დაწინაურდნენ და თანამედროვე ცივილიზაციის მამოძრავებლები გახდნენ, მაგრამ ეკონომიკურმა განვითარებამ, მატერიალური სიმდიდრის უზარმაზარმა დაგროვებამ, სიყვარულის სიტყვის მადლის მეოხებით განვითარებულ და დაწინაურებულ ხალხებშიც გააჩინა მატერიალურის, სიმდიდრის გაკერპების ტენდენციები. სიმდიდრის, მატერიალურის კერპი თანდათანობით სულ უფრო და უფრო ძლიერი გახდა და დაუპირისპირდა ღვთიური სიყვარულის სიტყვას. სამწუხაროდ, მანამდე ასკეტიზმით გამორჩეულ ეკლესიაშიც დაიწყო სიმდიდრის კერპმა გავლენის მოპოვება.

საქართველოში, სამწუხაროდ, ეკლესიის პოზიცია მიუხედავად რთული პოლიტიკური დაპირისპირებების ფონისა, ყოველთვის როდია მოზომილი და კონკრეტულ შედეგებზე გათვლილი, იგი ხშირად მმართველი პოლიტიკური რეჟიმის მიმართ დამთმობი და უუნაროა, არადა, ამ დროს, ეკლესია აუცილებელია იყოს ეროვნულ–სარწმუნოებრივი იდეოლოგიის ყველაზე მნიშვნელოვანი ქვაკუთხედი.

სამწუხაროდ, იმ ავბედით წლებში, როცა მოხდა 1991-1993 წლების სახელმწიფო გადატრიალება და მისგან გამომდინარე, დღემდე განვითარებულ შემდგომ პროცესებშიც ვერ აღმოჩნდა სათანადო ეროვნულ-სარწმუნოებრივ დონეზე ვერც საქართველოს სამოციქულო ეკლესია და მისი მესვეურნიც. პირიქით, სამწუხაროდ, ბევრი მათგანი უშუალო მონაწილეც კი შეიქმნა იმ მოღალატური პროცესებისა, რის გამოც კვალიფიცირდებიან, როგორც სახელმწიფო გადატრიალების თანამონაწილენი და სამშობლოს მოღალატენი.

ფუძემდებლური მომენტია: ქართული მართლმადიდებელი ეკლესია აუცილებლად უნდა დადგეს ერის გვერდით. მან მთელი თავისი სულიერ-ზნეობრივი ძლიერებით უშუალო მონაწილეობა უნდა მიიღოს საერთო-ეროვნული აღორძინების პროცესში, რითაც უნდა გამოიკვეთოს ჩვენს ეპოქაში შექმნილი სულიერი ვაკუუმის ქრისტიანული რწმენით შევსების ტენდენცია.

„იბერია – საქართველო გაბრწყინდება!" – ქართული სახელმწიფოებრიობის ფაქტობრივად ერთადერთი „პოლიტიკური დოქტრინაა", რომელიც პოლიტიკური მართლმადიდებლობისა და ქართული ეროვნულობის ჰიბრიდმა წარმოშვა და უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში ქართულ პოლიტიკურ ცნობიერებაში დომინირებს. რადგანაც ამ ხნის მანძილზე საქართველოში მოქმედ არცერთ ფაქტობრივ სახელისუფლებო, თუ ოპოზიციურ პოლიტიკურ ძალას რეალობასთან მიახლოებული ქართული სახელმწიფოებრიობის არანაირი კონცეფცია არ შეუქმნია, ეს ფორმულა ერთადერთი პოლიტიკური რეალობის განსახიერებად იქცა.

აუცილებელია განმტკიცდეს ქრისტიანული მართლმადიდებლური ქართული ტრადიციული რელიგია. ერისა და ქვეყნის სულიერი, ზნეობრივი ამაღლებისათვის აღიარებული უნდა იქნეს რწმენისა და სინდისის თავისუფლება. ერთა თანაარსებობის ზემოთ მითითებულ ტრადიციებზე დაყრდნობით სახელმწიფოს მიერ ხელი შეეწყოს რელიგიური თვით-მყოფადობის დაცვას. თავსებადობის ამ პრინციპთა ცხოვრებაში გატარება ქართული სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელი უნდა გახდეს (მით უფრო, რომ ეროვნულ უმცირესობათა ეთნიკურ, კულტურულ, ენობრივ და რელიგიურ თვითმყოფადობის დაცვის პრინციპებს კონსტიტუციური კანონის ძალა აქვს), რაც მისი საერთაშორისო ავტორიტეტის გარანტადაც იქცევა. საქართველოს სახელმწიფოებრივი აღორძინება, მისი დამოუკიდებლობის აღდგენა ვერ მოხერხდება ეროვნულ–სარწმუნოებრივი, ზნეობრივი აღორძინების გარეშე და ყოველივე ამას ადასტურებს საქართველოს წარსულიცა და აწმყოც.

აქვე, ნიშანდობლივია იმის აღნიშვნა, რომ დღევანდელი საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი – ეროვნულ–სარწმუნოებრივი მოძრაობა, ეს არა სხვადასხვა, განსხვავებული, არამედ ერთიანი, თავისი შინაგანი არსით ეროვნულ-რელიგიური მოძრაობაა, რამდენადაც იგი არ გულისხმობს მხოლოდ ეროვნულ-პოლიტიკური მიზნების განხორციელებას, არამედ უპირველესყოვლისა ითვალისწინებს ზნეობრივ აღორძინებას ქრისტიანულ რწმენასა და ცნობიერებაზე დაყრდნობით. ქართული მართლმადიდებელი ეკლესია და მისი მრევლი დღეს შეურაცხყოფილია.

აქედან გამომდინარე, ლეგიტიმურმა, საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულმა მთავრობამ (ხელისუფლებამ) უნდა იღვაწოს კიდეც ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ტრადიციული ერთობის აღსადგენად, რათა ეროვნული სახელმწიფოს ავტორიტეტი დაემყაროს, არა მარტო ხელისუფლების სოციალურ-პოლიტიკურ განსაზღვრულობას, არამედ უმეტესწილად ქრისტიანულ ზნეობრივ საწყისებს.

სამართლებრივი ეროვნული სახელმწიფოს დამოკიდებულება ეკლესიისადმი უნდა დაეფუძნოს ეროვნული ეკლესიის რელიგიურ-ზნეობრივი ავტორიტეტის უზენაესობისა და განსაკუთრებული სოციალური ფუნქციის აღიარებას.

ეკლესიის სამოციქულო მოღვაწეობის სულიერი ბუნება თავისთავად გამორიცხავს მის უშუალო მონაწილეობას ქვეყნის პოლიტიკურ სისტემაში, მაგრამ პოლიტიკური სისტემიდან ეკლესიის გამოყოფა არ უნდა ნიშნავდეს სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთგათიშვას. სახელმწიფო და ეკლესია არ უნდა ერეოდნენ ურთიერთის საქმიანობაში, მათ ერთობლივად უნდა უზრუნველყონ საერო და საეკლესიო ცხოვრების მთლიანობა, რომელიც იმავდროულად პოლიტიკური სისტემისა და ეკლესიის ურთიერთდამოკიდებულებას დაემყარება.

აუცილებელია, ხალხისა და მრევლის საწინააღმდეგო არასახელმწიფოებრივი ნაბიჯების გადადგმისას, დროზე მოეგონ გონს ერისა და ბერის მამამთავარნი, რათა თავიდან იქნეს აცილებული შესაბამისი პრობლემები.

ერშიც და ბერშიც საღმა აზრმა უნდა გაიმარჯვოს, რათა განიწმინდონ უკეთურნი. შესაბამისად ამ საკითხთან მიმართებაში კი, უპირველეს ყოვლისა, ეკლესიამ, მრევლის მოთხოვნით, უნდა თქვას თავისი ეროვნულ–სარწმუნოებრივი სიტყვა.

უმნიშვნელოვანესია, რომ დღესაც, არსებული მძიმე სიტუაციიდან ერთადერთი სწორი გამოსავალი იქნებოდა, ჩვენი დიდი წინაპრების მაგალითზე, მოწვეულ იქნას მნიშვნელობით „რუის-ურბნისის" სადარი საეკლესიო კრება. აღსანიშნავია, რომ „ახალი რუის-ურბნისის" საეკლესიო კრება უნდა დაეყრდნოს მართლმადიდებელი ეკლესიის სამართლებრივ კანონმდებლობას, დიდი რჯულის კანონს. „ახალი რუის-ურბნისის" საეკლესიო კრება არ შეიძლება მივაკუთვნოთ რიგით ადგლობრივ კრებათა რიცხვს, იგი უნდა იყოს საგანგებოდ მოწვეული განსაკუთრებული კრება, რომელიც გადაწყვეტს საქართველოს ეკლესიის წინაშე მდგარ ყველა საჭირბოროტო საკითხს.

და საბოლოოდ, დღესაც უნდა „...დღეთა მრავალთა ფრიადთა გამოწულილვითა კეთილად გამოიძიონ და ყოველი ცთომა განმარტონ, კეთილი და სათნო ღმთისა წესი ყოველი

დაამტკიცონ".

იმედია, დღესაც ინებებს უფალი და ,,რუის-ურბნისის" საეკლესიო კრება საფუძვლად დაედება ჩვენი ქვეყნის ეროვნულ-სარწმუნოებრივ გაერთიანება–გაძლიერებას.

ერისა და ბერის ურთიერთთანადგომა ხომ ყოველთვის საქართველოს ძლიერების ქვაკუთხედია.

ჩვენც, ამდაგვარად, წმიდა კანონთა დაცვით ჩვენს დიდ წინაპართა იმ გზას უნდა გავყვეთ, რომელმაც საქართველო სულიერ და მატერიალურ აღორძინებამდე მიიყვანა.

დროა კვლავ დავეპატრონოთ, მაღლა ავსწიოთ, ავიტაცოთ ეროვნულ-სარწმუნოებრივი ცნობიერების მამულიშვილთა სისხლით შეღებილი კეთილშობილი დროშა და ეროვნულ-სარწმუნოებრივი ცნობიერებით გავაგრძელოთ ,,მამულისა ჩვეულებისამებრ სლვაჲ" ერის ხსნის გზაზე.

ჭეშმარიტად მორწმუნე სულისა და სიკეთის მსახურთ კი, მუდამ გვფარავდეს სიკეთითა და სათნოებით სავსე უფალი ჩვენი;

6. დღესაც, მნიშვნელოვანი და აქტუალურია საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის - ზვიად გამსახურდიას გამაფრთხილებელი გამოსვლა უზენაესი საბჭოს საგანგებო სესიის სხდომაზე 1991 წლის 8 ოქტომბერს: ,, . . . აი მაგალითად, იყო წამოყენებული მოთხოვნა ჩემი გადადგომის შესახებ, ყველამ კარგად იცით, რომ მე არ ვეჭიდები ამ თანამდებობას და უკიდურესად მძიმეა და რთულია ჩემთვის ამ მოვალეობის შესრულება, ძალზე მძიმეა და ვინც არ უნდა იყოს ჩემს ადგილას, ყველასთვის ეს იქნება უკიდურესად მძიმე ჯვარი. ამას მე სრულის პასუხისმგებლობით ვაცხადებ. ამავე დროს პირდაპირ გეუბნებით, მიუხედავად იმისა, რომ (პიროვნულად) არა ვარ მე მოსურნე ამ პოსტზე დარჩენისა, ამას მე გულწრფელად ვაღიარებ, ჩემი ამ პოსტიდან წასვლა გამოიწვევს საქართველოში სულ მცირე რამდენიმე ათეული პარალელური მთავრობის შექმნას და რამდენიმე ათეული პრეზიდენტის აღმოცენებას. უფრო მეტიც, გამოიწვევს საქართველოს ადგილზე რამდენიმე სახელმწიფოს ჩამოყალიბებას, აბსოლუტური გადაჭარბების გარეშე გეუბნებით, ფრჩხილებს არ ვხსნი, ყველანი მიხვდით. . . . საქართველოში დაიწყება იგივე ლიბანიზაცია, რასაც ჩვენ დავინახავთ თბილისის ტერიტორიაზე. ამას შედეგად ის არ მოყვება, რაც ეგონათ, რაც გონია ზოგიერთს, რომ შემოვა რუსეთი, მოსკოვი და იქ დაამყარებს სამხედრო დიქტატურას. ვერ დაამყარებს, ფიზიკურად ვერ დაამყარებს საქართველოში ამას. საქართველო გახდება მსხვერპლი ტოტალური ანარქიისა და საერთოდ საქართველოს არსებობა დადგება კითხვის ნიშნის ქვეშ. . . . რა უნდა მოხდეს იმისათვის, რომ ეს ყოველივე ავირიდოთ თავიდან? . . . აი, ამაში ჩვენ უნდა ვიყოთ ერთნი, საქართველოს ხსნაში, წესრიგის აღდგენაში და სამოქალაქო მშვიდობის დამყარებაში, თუ ჩვენ ამაში არ შევერთდით, ამ პარლამენტის არსებობას არავითარი აზრი არა აქვს. მაშინ მე პირადად და პირუთვნელად მოგახსენებთ, იძულებული გავხდები დავითხოვო ეს პარლამენტი და თვითონაც გადავდგე, თუ თქვენ მე არ ამომიდგებით მხარში, რომ საქართველოში დავამყარო წესრიგი, რომ ვიხსნათ საქართველო ამ საშინელი ანარქიისაგან. . . . ჩვენთან პარლამენტური რესპუბლიკა ეს არის დაღუპვა ერისა და დაღუპვა იმ პარლამენტისაც, აი ეს დაიმახსოვრეთ. ხოლო საპრეზიდენტო ხელისუფლება არის ერთადერთი ხსნა ჩვენი ერისა. უნდა იყოს ძლიერი პრეზიდენტი და ძლიერი საპრეზიდენტო ხელისუფლება. გახსოვდეთ, ამის გარეშე საქართველოს ხსნა არ არსებობს. ამის გარეშე იქნება ყველაფერი ის, რაც მე თქვენ წეღან მოგახსენეთ.. . . მოდით, დღეს მივცეთ სათანადო შეფასება ყველაფერს, გამოვიტანოთ სათანადო დადგენილებები და აღვადგინოთ საქართველოში სამოქალაქო მშვიდობა და წესრიგი".

ეროვნული ანუ კანონიერი ხელისუფლების სამართალმემკვიდრეობის აღდგენა, პირველ რიგში და საფუძველში, გულისხმობს მის აღდგენას, როგორც ეროვნულ-სარწმუნოებრივი მოძრაობის ინსტიტუციისას, ინსტრუმენტისას და არა რაღაც განყენებული აბსტრაქციისას, ანუ ლეგიტიმურობის აღდგენა პირველ რიგში გულისხმობს საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფ-ლებელი მოძრაობიდან გარდასახული ეროვნულ-სარწმუნოებრივი მოძრაობის, ზოგადად, ქართველი ერის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მიზნების განმახორციელებელი ხელისუფლების აღდგენას. ლეგიტიმურობა და კანონიერება ეროვნულ-სარწმუნოებრივ მსოფლმხედველობასა და იდეოლოგიაზეა აგებული და არა შემონერგილ, რაღაც ტრანსნაციონალურ-ინტერნაციონალურ აბსტრაქტულობებზე.

ამავე დროს, აუცილებელია და უნდა მოხდეს სრული, ჭეშმარიტი ეროვნული თანხმობა და შერიგება საქართველოს სახელმწიფოებრივი აღდგენა-აღორძინებისა და განვითარების ძირითად პრინციპებზე დაყრდნობით, რათა მშვიდობიანი პოლიტიკური ბრძოლის, დაშვებულ შეცდომათა აღიარება-მონანიებისა და მიტევების გზით შეიქმნას პირობები, საფუძველი და გარანტი სამართალმემკვიდრეობისა და კანონიერების აღდგენის, ოკუპაცია-ანექსიის შედეგების ლიკვიდაციისა და საქართველოს ჭეშმარიტი ეროვნულ-სა-ხელმწიფოებრივი აღორძინებისათვის.

დამოუკიდებლობის შენარჩუნებას საქართველო შესძლებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თავისუფლებას მოიპოვებს და შეინარჩუნებს. დღეს ბრძოლით ხელახლა უნდა მოვიპოვოთ თავისუფლებაცა და კეთილდღეობაც.

ბრძოლის გარეშე კი, ვერავინ ვერაფერს მოიპოვებს.

შესაძლოა, ისტორიის ამ ფაზაზეც, როცა კვლავ არსებობს და საგრძნობლად გაღრმავდა მმართველი რეჟიმის დელეგიტიმაციის პროცესი, საქართველოში კვლავ დღის წესრიგში დადგეს სამართალმემკვიდრეობისა და კანონიერების აღდგენისათვის შესაბამისი თავისებური სიტუაციის წარმოშობა.

საქართველოს ეროვნულ–სარწმუნოებრივ მოძრაობაში ინტეგრირებულმა ძალებმა იმპერიულ ცენტრებთან და მის ადგილობრივ ადმინისტრაციებთან ბრძოლის თავისებური, ფრთხილი სინთეზური ტაქტიკა უნდა აირჩიოს ასევე ტაქტიკური ბრძოლის ორიენტირად. ამ ტაქტიკაში ერთმანეთს უნდა შეერწყას, როგორც სამოქალაქო და ეროვნული დაუმორჩილებლობის კურსი, ისე წმინდა პოლიტიკურ-პრაგმატული თვალსაზრისით აუცილებელი მოლაპარაკებებისა და იძულებითი კონტაქტების (მაგრამ არა კაპიტულაციებისა და კომპრომისების) კურსი, რის საფუძველზეც რეჟიმის მიერ თავისივე განვლილი პერიოდის უკანონობა უნდა დაფიქსირდეს თავიანთივე გადაწყვეტილებით. შემდგომ კი ერთობლივი შეთანხმებით, უნდა აღსდგეს კანონიერი საკონსტიტუციო წესრიგი, შესაბამისი სამართლებრივი საკანონმდებლო ბაზის ამოქმედებით და უშუალოდ კანონიერი ხელისუფლების მიერ უნდა დაინიშნოს და ჩატარდეს საყოველთაო, ლეგიტიმური, მრავალპარტიული, დემოკრატიული და თავისუფალი არჩევნები.

ცხადია, რომ ამას ხელი უნდა შეუწყოს საერთაშორისო დონეზე გლობალურმა პროცესებმაც, რისი იურიდიულ ბაზა საჭიროებისამებრ უნდა შექმნას თუნდაც გაეროს გენერალურმა ასამბლეამ სპეციალური დეკლარაციით, რითაც ბოლო მოეღება ე. წ. თალასოკრატიული იმპერიების არსებობას. ამ იმპერიების ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივ სტრუქტურას მეტროპოლია-კოლონიის სუბორდინაციის სისტემაზე აგებული იურიდიული ხასიათი უნდა ჰქონდეს.

საქართველოს რესპუბლიკის დევნილმა, ემიგრაციულმა მთავრობამ, რეალურად ეროვნული ოპოზიციური სტრუქტურების კოორდინაციის გზით, უნდა აიღოს პოლიტიკური ინიციატივა ეროვნულ-სარწმუნოებრივი იდეისა და ლეგიტიმიზაციის ფაზის წარმატებით განხორციელებისათვის,

ამ ახალ ეტაპზე, საქართველოს ეროვნულ-სარწმუნოებრივი მოძრაობის თავისებურებები, კი, ისაა, რომ იგი ამიერიდან სათავეში უნდა ჩაუდგეს ბრძოლას დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისაკენ ბრძოლაში, რამდენადაც მას ენიჭება დუალისტური ფუნქცია – ის, თავის კანონიერ და სამართლებრივ სტრუქტურებთან (ინსტიტუციებთან) ერთად, წარმოადგენს, როგორც ლეგიტიმურ ხელისუფლებას, ასევე ეროვნული მოძრაობის წარმმართველ ცენტრსაც, ეროვნული დაუმორჩილებლობის მთავარ იურიდიულ ინსტიტუტს.

სამართლებრივი და კანონიერი არჩევნების გზით მოსული ლეგიტიმური ხელისუფლება უნდა გახდეს სამართლებრივად წარმომადგენლობითი დემოკრატიის პირმშო, საერთო-ეროვნული სუვერენიტეტის განსახიერება და არა – სახელმწიფო გადატრიალების პროდუქტი.

საქართველოს მოსახლეობის ფართო ფენების მიზიდულობის ცენტრი უდავოდ სამართლებრივი, კანონიერი და ეროვნული სუვერენიტეტის აღდგენის იდეა უნდა იყოს და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი აღორძინების კონტექსტში უნდა გავიაზროთ. ეროვნულ-პოლიტიკური თვითიდენტიფიკაციაში უნდა დავინახოთ ამ მოვლენის არსი და იმპერიალისტურმა ნომენკლატურულმა ფაქტობრივმა რეჟიმმა სწორედ რომ ვერ უნდა გაუწიოს რეალური წინააღმდეგობა სამართლებრივი, კანონიერი, ეროვნული ძალების ხელისუფლების სათავეში დაბრუნების პროცესს, რამეთუ პოლიტიკური ტრანსფორმაციის შეფასება კომპლექსურ-ინდუქციური პოლიტიკური ანალიზის საფუძველზე გაცილებით მართებული, ობიექტური იქნება და უნდა შეფასდეს შემდგომ მნიშვნელოვან მოვლენებთან ერთიან სისტემაში და არა – მათგან იზოლირებულად და განყენებულად.

საქართველოს ეროვნულ–სარწმუნოებრივი მოძრაობის შინაგანი დინამიკა უნდა იყოს ე. წ. „ახალი მსოფლიო წესრიგის" არქიტექტონიკაში კავკასიის გეოპოლიტიკური სივრცისა და მისი ღერძული სახელმწიფოს – საქართველოს სუვერენობის საკითხის უცილობელი ჩასმა და აღდგენა და იმ ბარბაროსული კოსმოპოლიტური ოკეანედან გამოსვლა, სადაც პოსტინდუსტრიული ცივილიზაციის გენეზისის ეპოქაში ქართული ეროვნულობა შთაინთქა იმპერიალისტური ძალების დროებითი გარიგებებით.

თუ ჩვენ ერთ მთლიანობაში გავიაზრებთ ისტორიულ, ეროვნულ და მართლმადიდებელ–ქრისტიანულ ტრადიციებს, მხოლოდ მაშინ აღმოვაჩენთ ეროვნული ღირებულებების ჭეშმარიტ ფასეულობათა სამართლებრივ სისტემას.

ამასთანავე, დავძენთ, რომ ჩვენ არ გვამოძრავებს შურისძიების გრძნობა, თუ არა ქვეყნის გადარჩენის წმიდათაწმიდა იდეა, რაც გვავალებს, მოვთხოვოთ გზააბნეულთ – ზურგი შეაქციონ მორიგ პოლიტიკურ ავანტიურას, საქართველოს განადგურებით რომ ემუქრება და აღიარონ საჯაროდ, ქართველი ერის წინაშე ჩადენილი შეცდომები. მათ, ვინც გაითავისებს კანონიერი ხელისუფლების აღდგენის მოთხოვნის აუცილებლობას, მიეცემა შანსი საქმით გამოისყიდონ შეცდომები იმ ადამიანების გვერდით, ვისთვისაც თავისუფალი საქართველოს იდეა პირველადია და შეუცვლელი!

ღვთისმშობლის წილხვედრ საქართველოს, ქართველი ერის მოკავშირე, მფარველი და მხსნელი უფალია და არა – რომელიმე ზესახელმწიფო. საქართველოში არსებულ ყველა ეროვნულ ძალას მოვუწოდებთ გაერთიანებას გულწრფელი, გაუსვრელი ეროვნული მოღვაწეების გარშემო, ვუსურვებთ ეროვნული მოძრაობის თანდათანობით აღორძინებას ტყვეობის ურთულეს გარემოში - რამდენადაც მხოლოდ ეროვნულ მოძრაობას შეუძლია, იხსნას ქართველი ერი, მთელი ქართველი ხალხი ტყვეობისაგან და კვლავ შექმნას ეროვნული, ლეგიტიმური ხელისუფლება – ქართველების, მთელი ქართველი ხალხის უფლებებისა და თავისუფლებების დამცველი ხელისუფლება.

ღმერთმა დალოცოს ქართველობა!

გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს!

7. ქართველი ერის ნების წინააღმდეგ დაამხეს საქართველოს მეორე, სამართლებრივად, კანონიერად, საყოველთაოდ, დემოკრატიულად არჩეული ლეგიტიმური ხელისუფლება და საქართველოს წინააღმდეგ „შეთქმულმა ძალებმა" სისხლიანი რეჟიმის მეშვეობით ფეხქვეშ გათელეს ადამიანთა უფლებებისა და თავისუფლებების საერთაშორისო დეკლარაცია, როდესაც ქართველ ხალხს განუცხადეს, რომ სისხლიანი აჯანყების უფლებას ამ დეკლარაციის პრეამბულა უტოვებს ყველა ხალხსო. იცრუეს და ცრუობენ კაცობრიობისა და თითოეული კეთილი ნების ადამიანის მტრები, რადგან ეს დეკლარაცია სწორედ მსგავსი ვანდალიზმების პრევენციისათვის იქნა შექმნილი და იგი გვაუწყებს, რომ უკანასკნელი მეთოდი – სამოქალაქო და ეროვნული დაუმორჩილებლობა მხოლოდ ტირანიის წინააღმდეგ საბრძოლველად არის და არა – დემოკრატიულად, საყოველთაოდ არჩეული ხელისუფლების დასამხობად, რომელიც დამოუკიდებლობის გამოცხადებიდანვე დემოკრატიულად, ქართველი ერის ნებითა და საერთაშორისო სამართლის, ისტორიული სამართლიანობის პრინციპებიდან გამომდინარე იბრძოდა ქვეყნის სრული თავისუფლებისათვის.

რამდენადაც საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს, მინისტრთა კაბინეტს, ადგილობრივი თვითმართველობისა და მმართველობის ორგანოებს, მათ ხელმძღვანელ პირებსა და წარმომადგენლობას, ანუ მთლიანობაში დევნილ კანონიერ ხელისუფლებას დღემდე არ გამოუცხადებია თვითლიკვიდაცია, არ დაუნიშნავს ახალი არჩევნები და თავისი სამართალმემკვიდრეობა არ გადაუცია არცერთი მომდევნო ხელისუფლებისათვის;

რამდენადაც დღესაც არსებობს სამართალმემკვიდრე, კანონიერი ხელისუფლების, საქართველოს რესპუბლიკის დევნილი ხელისუფლების ეროვნული ინსტიტუციები და კანონიერი სახელისუფლო წარმომადგენლობა, დღესაც და იმედია უახლოეს მომავალშიც, რეალურად შესაძლებელია მისი, კანონიერი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ბაზის კანონიერი, ფაქტობრივი მოქმედება.

კანონიერი ხელისუფლების სამართალ-მემკვიდრეობის ლეგალიზაცია და აღდგენა გარდამტეხ როლს შეასრულებს ქვეყანაში სამართლიანობისა და ამომრჩეველთა ღირსების აღდგენის, ზოგადად, საქართველოს სახელმწიფოს მოწყობის თვალსაზრისითაც.

ზოგადად, ლეგიტიმურობა კანონიერებას, სამართლებრივი საფუძვლების არსებობას ნიშნავს, ეს ცნობილია.

ცნობილია ასევე, დევნილი ხელისუფლების – მთავრობის საკუთრივ სამშობლოში, თუ სხვა ქვეყანაში დევნილობაში მოქმედება, სამართლებრივი, თუ პოლიტიკური თვალსაზრისით მისი პრეცედენტულობა.

ლეგიტიმურობა არ არის ზოგადი ცნება. ლეგიტიმური ხელისუფლება, მთავრობა კონკრეტულად არის ნამდვილი (ერის ნების გამომხატველი) რეალური ხელისუფლება და მთავრობა. ნებისმიერი ერი მხოლოდ მაშინაა თავისუფალი ერი საკუთარ მიწაზე, როცა მას ჰყავს საკუთარი ინტერესების გამომხატველი და მსახური ხელისუფლება, წინააღმდეგ შემთხვევაში ერი თავად ხდება მსახური, ნიჰილისტური ფსიქო-ინტოქსიკაციითა და ტერორით იქცევა ვიტალისტურ მასად, რომელსაც არ გააჩნია ეროვნება და, აქედან გამომდინარე, არც – სამშობლო.

ლეგიტიმური ხელისუფლების მიერ შექმნილი სამართლებრივ-პოლიტიკური ბაზა არის ნამდვილი საშუალება და გასაღები საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენადაც. ეს მომენტი უაღრესად მნიშვნელოვანია სოციალური ფსიქოლოგიის თვალსაზრისითაც, რადგან ამ „გასაღების", პირობითად, მოსკოვში, ვაშინგტონსა თუ პეკინში ძებნა მიუთითებს ნიჰილისტურ მარაზმს სრული ამნეზიით, რეალობის აღქმის სრული დაკარგვითა და თვინიერობით რომ აღიწერება.

ლეგიტიმურობის „გასაღები" – დამხობილი ლეგიტიმური ხელისუფლების მიერ შექმნილი კოსტიტუციური და სამართლებრივ-პოლიტიკური ბაზის ამოქმედება, ერთადერთია ასევე აფხაზეთისა და შიდა ქართლის დასაბრუნებლადაც. ის საქართველოშია, მის უდიდებულესობა ხალხშია და მის ნება-გადაწყვეტილებაშია.

ლეგიტიმური წყვეტის აღდგენის აუცილებელი ნიშანია არა მხოლოდ კანონიერი არჩევნების დანიშვნა, არამედ ლეგიტიმური სამართლებრივი ბაზის ამოქმედება საქართველოს გადასარჩენად.

აუცილებელია, მოხდეს სამართლებრივი, კანონიერი და კონსტიტუციური წესრიგის აღდგენა და შემდგომ ქვეყანამ უნდა აირჩიოს ახალი ლეგიტიმური ხელისუფლება. კანონიერმა ხელისუფლებამ, მთავრობამ უნდა დანიშნოს და ჩაატაროს არჩევნები. მხოლოდ ამ არჩევნების შედეგად მოსული ხელისუფლება იქნება სამართლებრივი, კანონიერი, ლეგიტიმური, ასევე უფლებამოსილი და ვალდებულიც, რომ იხელმძღვანელებს ლეგიტიმური, სამართლებრივი ბაზით.

ამ მხრივ კი, აუცილებელია საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აქტივიზაცია, რათა აღსდგეს ეროვნული ცნობიერება, ქრისტიანული რწმენისა და ქართული ეროვნულ-სარწმუნოებრივი იდეოლოგიის აღორძინება, ქართული სახელმწიფოებრიობისა და ეროვნული ხელისუფლების აღდგენა.

ეს კი ჩვენი ბრძოლის უმთავრესი მიზანი უნდა იყოს. ღვთისა და მამულისათვის თავგანწირვა დღეს ერთადერთი გზაა გადარჩენისა, თორემ, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოგველის ეროვნული გადაგვარება და კატასტროფა.

ამრიგად, ლეგიტიმურობა აუცილებელია იყოს სამართლებრივ–კანონიერი ანუ რაციონალური. მთავარი ამოცანაა სამართლებრივი, კანონიერი და დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობა, რომელიც, თავის მხრივ, უპირისპირდება ტოტალიტარულ, ავტორიტარულ სახელმწიფოებს.

უკანონობას შეიძლება მოვერით მხოლოდ კანონით!
უსამართლობას შეიძლება მოვერიოთ მხოლოდ სამართლით!
სიცრუეს კი შეიძლება მოვერიოთ მხოლოდ სიმართლით!



ძმას ქრისტესმიერს

როს მიაკითხავ წმიდა ალაგებს,
თითქოს იერი ეცვლებათ ტაძრებს,
წმიდა მამათა ძვალშესალაგებს,
მღვდელმთავართა და მეფეთა საძვლეს.
გეკითხებიან მოსულხარ სადით,
ხატება შენი ვეღარ გვიცვნია,
წარსულის სუნთქვა ესდენ სიცხადით
საუკუნეა არ განგვიცდია.
ხარ მწირი თამარ დედოფალისა,
საღვთო სინედლის გულში აღმზვრელი,
თუ ნახევარძმა პარსიფალისა,
დიდგორს მოსული ვინმე ტაძრელი,
სამსხვერპლო სისხლით აღვსილი წმინდა
გრაალის მცველი ღვთისგან ცხებული,
თუ საიდუმლოდ ათონის მთიდან
თორნიკესავით დაბრუნებული.
ვინც განგვიახლე ნათლობის მადლი,
კურთხევის ძალა შორს გამიზნული,
როს მოგვეძალა დიდვაჭრის ადლით
დუშმანი ჩვენში შემოხიზნული.
ოდეს ტაძართა შედრკა მწირველი
და მიეფარა ღრუბელს უფალი,
შენ აღიმართე ვითა პირველი
დაშრეტილ რწმენის ჭირისუფალი.
თვით ზეციერმა შეგარტყა ძალი,
გიპყრა მახვილი რვალთა მლეწავი
და აგიტაცა როგორც ბოძალი
დუშმანის ძვლებში დასახვეწარი.
გჩვეოდა მტერთან არ დარიდება,
შეწყვილებულო სიმტკიცით კლდესთან
და ეძიებდი ჭეშმარიტებას,
ვითა ტარიელ დაკარგულ ნესტანს.
და წინაპართა ტანჯვით ვნებულმან
ერშიც ზრახვანი აღძარ ვნებისა,
როს განაახლე მინავლებული
ხმა ეროვნული თვითშეგნებისა.
ოსტატის სიბრძნით გამოარჩიე,
აზრთა განწყობას უცვალე ფერი,
ხელწერა შენი გულს დაამჩნიე,
ახალ ხარისხზე ასწიე ერი.
შენგან ნატყორცნი გავარდა სიტყვა,
ვითარცა მეხი ცათა მკვეთელი,
ჯიუტი თმენის ზღუდე მისეტყვა
ზღვა საგუბარის დასცა კედელი.
შემოიმტკიცე ფიცვერცხლით ძმანი,
ცეცხლს რომ უნთებდნენ გულში ასულებს,
შლეგებს მოვგავდით მოყმენი ცხრანი,
ვეფხვთან სარკენლად ველად გასულებს.
არ დაგვითრგუნავს სხვათა უფლება,
ყველამ გაიგოს, ყველამ უწყოდეს,
რადგან ჩვენც შევტრფით თავისუფლებას,
ჩვენადვე თავი ხამს გვეყუდნოდეს.
მაგრამ ნესტანი, იგი ნესტანი
ისევ ქაჯთა ჰყავთ გამომწყვდეული,
კვლავაც ზვაობენ მტერთა დასტანი,
უტიფრობს შხამი მათგან ნთხეული.
ცნობამიხდილი წყევლი ცრუ სოფელს,
როს გულისსწორის სახელს აბოდებ,
ვიცი, რა, ვიცი იმის ხელმყოფელს
უშრეტი ცეცხლით დაანაფოტებ.
როს ამოშრება წყევლის სათავე,
ქაჯეთს მიხტომა ნახონ ჯიქური,
მაშინ იხილონ დუშმანის თავი
უწმინდურ სისხლით გადათხიფული.
მისთვისაც გაგთქვამს ზეცა და მყარი
და ქარიშხალი ზღვებზე მქუხარი,
კვლავ გაიელვებ სიმართლის ფარით,
რწმენის სამკლავით და საფუხარით,
გადაიჭრები გზნებით მყოფადში,
დაემკვიდრები ხალხში მითივით,
ზეაღმართულო ჩვენს ეპოქაში,
მიქელანჯელოს კუშტ დავითივით.
დაუცხრომელო სულიერ ცდაში,
დაუსაბამო სიტყვის მხმობელო,
უკიდეგანო ასტრალურ ზღვაში,
დემონთა ხროვის დამამხობელო,
ხომ ხედავ როგორ გართულდა ომი,
ვაჰ, თუ ძალები შემომელია,
თუმცა მარადში ვარ თანამდგომი,
ავთანდილობა ერთობ ძნელია.
ბოროტისათვის მუქაფის მგებელს,
საქმენი ქველნი არ დამიგმია,
მაგრამ სვებედის საწყისთა მძებნელს,
ერთი ამბავი ვერ გამიგია:
სხვებზე უმეტეს თუ გაისარჯე
როს ჩამოგეჭრა ხმა ედემისა,
მოყვასისაგან რად განისაჯე,
ღირსო უკვდავთა დიადემისა.
ალბათ გამოცდა ენება უფალს,
როს გიმზადებდა ხვედრს არ ასაცდენს,
რადგან განგებას რომელი უყვარს
მასვე მოუვლენს სასტიკ განსაცდელს.
რას დაგაკლებდა ბედი ტიალი
ეკალ-ბარდებში სიკეთის მთესველს,
ჭორის ღვართქაფმა გადაგიარა
და როს აგივსეს ძმარით ფიალა
არ აიცდინე სასმელი ესე;
რადგან იცოდი როგორ მავნებლობს,
როცა მაცდური გვიდგას საჭესთან,
რომ სიამაყე, აქ რომ მბრძანებლობს,
მათხოვარია იმ სოფლის ბჭესთან,
რომ წაუხდება მცდელობა უმალ,
გატიალდება როგორც საპყარი,
როს აღმოჩნდება, რომ ამგვარ სტუმარს
ზეცაში არ აქვს თავშესაფარი,
რომ ვერ იხილავს სანუკვარ შედეგს
ჭეშმარიტებას ვინც არ იმშვილდებს,
შეუპოვარი ბრძოლების შემდეგ
ვინაც ვერ ჰპოვა სულის სიმშვიდე,
ძმის აღსარება რომელმაც გასთქვა,
ვინც ვერ დაიცხრო ღელვა გულისა,
ზიარებამდე ვინაც ვერ წარსთქვა
საგალობელი სინანულისა.

მერაბ კოსტავა
12 აგვისტო, 1978 წელი

ISSN 1987-7986 helsinkiunion@gmail.com

სარედაქციო კოლეგია: ნოდარ კიკნაძე (595353505), ნუკრი ბაღდავაძე, მირიან მაღრაძე